# საარბიტრო

სპორტული გაზეთი პარასკევი 9 ნოემბერი 2007 №260 (3183) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიორგი მაკარიძე ჩელსიში?




## ტოპმიოლერს 17 წლის მეკარე ლონდონში მიჰყავს

დიახ, ეს თავად კლაუს ტოპმიოლერმა თქვა გერმანულ SPOX-თან ინტერვიუში. საქართველოს ნაკრების მწვრთნელს გიორგი მაკარიძის „მიუნხენ 1860"-ში დარჩენაზე ან „კაიზერსლაუტერნში" შესაძლო გადასვლაზე დაეკითხნენ. ტოპმიოლერმა კი პასუხად ... „ჩელსი" ახსენა.

— გიორგი უკვე შენუხდა, შოტლანდიასთან მატჩის მერე იმდენ ვარიანტს სთავაზობდნენ. ის უნდა გამოგვერიდებინა საქართველოდან და გეტყვით, რომ ამჟამად ვფიქრობ, მაკარიძე ლონდონის „ჩელსიში" გავუშვათ გასასინჯად — თქვა ტოპმიოლერმა.

გეცოდინებათ, საქართველოს ნაკრებისა და „დინამო 2"-ის მეკარე ახლა „მიუნხენ 1860"-შია სტაჟირებაზე. იგი 30 ოქტომბრიდან ბავარიულ გუნდშია და იქ 12 ნოემბრამდე დარჩება.

ილია ნანობაშვილი

# მდგომარეობა საგანგებოა

## გადავადება-გადმოვადებაში სპორტიც გადავადდა



## ოღონდ: საქართველო — ლიტვა იქნება

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა, სავარაუდოდ, გამოცხადებიდან 15 დღეში გაუქმდება.

საგანგებო მდგომარეობა მასობრივი თავშეყრის შეზღუდვასაც გულისხმობს, მასობრივი თავშეყრა კი სპორტული შეჯიბრის ნაწილია.

ნახსენებ 15 დღეში ფეხბურთსა და კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატების ტურები უნდა ჩატარებულიყო. ასევე, საქართველოს ფეხბურთელთა და მორაგბეთა ნაკრებების ოფიციალური საერთაშორისო მატჩებიც და ქართული სპორტული თემიც გუშინ ამ საკითხთა მოგვარება-გადაწყვეტით იყო დაკავებული.

პროფესიული ფეხბურთის ლიგამ და კალათბურთის ფედერაციამ გუშინვე ოფიციალურად გამოაცხადეს ჩემპიონატის ტურის გადადების თაობაზე. ერთადერთი, ამ ტურთა ჩატარების ახალი თარიღებია მოსაფიქრებელი.

გადაიდო ევროპის ერთა თასზე საქართველოსა და პორტუგალიის მორაგბეთა მატჩიც. სათქმელია, რომ გადადების მოსურნენი თავად პორტუგალიელები იყვნენ და ეს ამბავი რაგბის საერთაშორისო ფედერაციასთან უკვე შეთანხმებულია.

და მთავარიც: ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ბოლო შესარჩევი მატჩი საქართველოსა და ლიტვას შორის.

მატჩი აუცილებლად ჩატარდება — გვითხრა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ — პირობებს კი სახელმწიფო ორგანოებთან შევათანხმებთ.

ჩვენი სურვილიც ეგ არის, რომ ცხოვრება ნორმალურ კალაპოტს, რაც შეიძლება, მალე დაუბრუნდეს და დიდი იმედიც გვაქვს, რომ საგანგებო მდგომარეობა დათქმულზე ნაკლებ ხანს გასტანს.

## ერთი ასათიანი და ორი სენსაცია



AFP

გათამაშების უდავო ფავორიტმა მიუნხენის „ბაიერნმა" ბოლო წუთებზე გაუშვა გოლი და ფრეს დასჯერდა „ბოლტონთან" საშინაო მატჩში, იქამდე კი ლუკაშ პოდოლსკის ორი გოლით იგებდა.

„გალათასარაიმ" კი სულაც მარცხი იწვნია „ჰელსინგბორგისგან" ასევე საშინაო შეხვედრაში.

უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მეორე ტურის მთავარი ამბებიც სწორედ ეს იყო, ჩვენ კი ჩვენიანისაც ვთქვათ: მალხაზ ასათიანმა აბერდინში სრულად ითამაშა და გაფრთხილებას გამოჰკრა ხელი. „ლოკომოტივი" „აბერდინთან" 1:1-ს დასჯერდა, ასათიანი კი აქტიური იყო და ერთხელ გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ თავური მიზანს აცილა.



# მაკარიძე ჩელსიში?

## კლაუს ტოპმიოლერი: ქართველ ხალხს ძალიან ვუყვარვარ

„კაიზერსლაუტერნს“ ლეგენდა დაუბრუნდაო, წერს ერთ-ერთი გერმანული ვებგვერდი, რომელშიც საქართველოს ნაკრების თავკაცთან და „ლაუტერნის“ ახალდანიშნულ სპორტულ მრჩეველთან არცთუ მოზრდილი, მაგრამ საინტერესო ინტერვიუ ვნახეთ: თემა? საქართველოს ნაკრები, „კაიზერსლაუტერნი“ და ფიქრი მაკარიძეზე...

— რა არის ამჟამად „კაიზერსლაუტერნის“ ყველაზე დიდი პრობლემა?

— ადრეც ვთქვი და მგონი, ჩინურად არ ვლაპარაკობ: ეს არის არაკვალიფიციური კადრები. ცხადია, ფეხბურთელებზე ვამბობ.

— საქართველოს ნაკრებს წვრთნით და ხომ არ ველოდოთ ზამთარში რომელიმე ქართველის „ლაუტერნში“ გადმოსვლას?

— კი. მაგალითად, საინტერესო ვარიანტია ლევან ცქიტიშვილი. მეტიც, მე ის ტოპ-ფეხბურთელად მიმაჩნია. დიდი საერთაშორისო გამოცდილება აქვს.

— ამასწინათ თქვით, მიმზიდველ ფინანსურ წინადადებაზე უარი ვთქვიო. „კაიზერსლაუტერნშიც“ უხელფასოდ მუშაობთ...

— „კაიზერსლაუტერნი“ ჩემს გულშია. რაც შეეხება საქართველოს, ამ ქვეყანაში ხალხს ძალიან ვუყვარვარ. მე საქართველოს მივეჩვიე და ამ ნაკრებს ბედის ანაბარა ვერ დავტოვებ. იქ მუშაობას სიამოვნებით ვაგრძელებ.

— „მიუნხენ 1860“-ში საქართველოს ნაკრების მეკარე, 17 წლის გიორგი მაკარიძე ვარჯიშობს. იგი დიდხანს დარჩება გერმანიაში?

— მაკარიძე უპერსპექტიულესი ბიჭია. მას ბევრი შემწუხებელი ჰყავდა საქართველოში და იქაურობას გამოვარიდეთ. ამ მომენტში სულერთი იყო, სად წამოვიდოდა მაკარიძე — მთავარია, წამოვიდა. მის „კაიზერსლაუტერნში“ გადასვლაზე ლაპარაკიც არ არის. ამჟამად ჩემი საფიქრალია, მაკარიძე ლონდონის „ჩელსიში“ გავუშვა გასინჯვაზე და ვნახოთ...

# მადლობა წამოსვლამდე



**გერმანული** „ფრაიბურგის“ 19-წლამდელთა გუნდი შინ 1:1 დაუზავდა „ჰოფენჰაიმს“ და 16 ქულით ისევ პირველ ადგილზეა. თარგამაძემ სრულად ჩაატარა შეხვედრა და კარგადაც გაისარჯა, ნამატჩევს კი მწვრთნელისგან მადლობაც დაიმსახურა.

თარგამაძეს, რომელიც საქართველოს ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელმა პეტარ სეგრტმა რუსეთთან სათამაშოდ გამოიძახა, მანამდე „ფრაიბურგის“ შემადგენლობაში თასზე ერთი მატჩი ჰქონდა ჩატარებული, რომელშიც გოლით და საგოლე პასით გამოირჩა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საქართველოს ნაკრების მწვრთნელი გადადგა

**ოფიციალური** ინფორმაცია: კლაუს ტოპმიოლერმა საქართველოს ნაკრები დატოვა და მშობლიურ „კაიზერსლაუტერნში“ გადავიდა! — ეს გუშინ იტალიურმა „ტუტომერკატომ“ დაწერა.

ვერ გეტყვით, საიდან მოიტანეს იტალიელმა ჟურნალისტებმა მსგავსი ტყუილი, თუმცა ფაქტია, რომ ამას რუსმა კოლეგებმა ფრიადი სიამოვნებით აუბეს მხარი და მსგავსი ცნობებით გუშინდელი რუსული საგენტოები ლამის პირთამდე გადაივსო.

„კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი აღარ არის. ის გერმანულ „კაიზერსლაუტერნში“ სპორტულ დირექტორად იმუშავებს. ტოპმიოლერის ასეთი ნაბიჯის ნამდვილი მიზეზი უცნობით, თუმცა ფაქტია: ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი საქართველოში განვითარებული პოლიტიკური მოვლენებით. ტოპმიოლერი სწორედ ამას გამოექცა“ — ეს უკვე რუსული „გაზეტა.რუ“-ს ინფორმაციაა.

მოკლედ, იტალიელების დაკრულზე რუსებმა მხიარულად იცეკვეს, თუმცა ფაქტი სულ სხვაა: კლაუს ტოპმიოლერი არსად წასულა და მალე ახალ ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან.

**ბაჩა შალამბერიძე**

# რას დაატრიალებს და გადაატრიალებს ტოპი

**„მწვრთნელი** კეტილ რეკდალი დამოუკიდებელი იქნება ვარჯიშებზე, ტაქტიკასა და სპორტულ საკითხებში. ის ჩემგან სრულ მხარდაჭერას მიიღებს კადრების დაკომპლექტებაში. მასთან მხოლოდ რჩევებით ვითანამშრომლებ“ — განაცხადა „კაიზერსლაუტერნის“ ახალმა მრჩეველმა, საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა.

„ტოპიმ გადატრიალება უნდა მოახდინოს, ეს კი ცეცხლთან თამაშია, მით უფრო, ფინანსური დაინტერესების გარეშე, რაც, შეიძლება, გუნდს ძვირად დაუჯდეს. „ლაუტერნს“ კი უღირს ტოპმიოლერის რისკი!“ — წერს „ველტი“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ასათიანმა ჩავარდნა აღიარა

**გუშინ** მოსკოვის „ლოკომოტივს“ უეფას თასის მორიგი შეხვედრა ჰქონდა შოტლანდიურ „აბერდინთან“. ამ ტურნირში რკინიგზელებს კიდევ ორი მატჩი დარჩათ, რუსეთის ჩემპიონატში კი ერთი და ისიც არაფრისმომცემი.

საერთოდ, ეს სეზონი „ლოკომოტივს“ ჩაუვარდა და ამავე აზრისაა ლოკომოტიველთა ქართველი მცველი მალხაზ ასათიანიც...

„მიმდინარე სეზონი აშკარად ჩავაგდეთ. ახლა მაქსიმალურად შევეცდებით, ჩემპიონატში მოკლებული სიამოვნება უეფას თასზე მივიღოთ. ეს ტურნირი დამატებით ემოციებს გვმატებს. ვალდებულნი ვართ, ჯგუფიდან გავიდეთ და შემდეგ რა იქნება, მომავალი გვაჩვენებს“ — განაცხადა საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მეორე ტიტულს წყალი შეუდგა

**ზურაბ მენთეშაშვილი** და დავით იმედაშვილი ახლახან ლატვიის ჩემპიონები გახდნენ. მათ „ვენტსპილს“ კიდევ ერთი ტიტულის მოპოვების შანსი აქვს, თუმც პირველი მატჩის შემდეგ საქმე აშკარად გაირთულეს.

„ვენტსპილსი“ ბალტიის თასის გათამაშებაშიც მონაწილეობს და კარგადაც — ქართველთა გუნდმა ფინალს უწია, სადაც თანამემამულე ლიეპაიას „მეტალურგს“ გუშინ პირველ მატჩში უმასპინძლა და 1:3 დამარცხდა. საპასუხო მატჩი 11 ნოემბერს ლიეპაიაში გაიმართება.

ბალტიის თასზე იმედაშვილს თამაშის უფლება არ აქვს, რადგან გუნდში გაზაფხულზე მივიდა და მისი განაცხადში შეყვანა არ მოესწრო. მენთეშაშვილმა კი სრულად ითამაშა...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ზურაბ მენთეშაშვილი

## უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი

### A ჯგუფი

**ლარისა 2:3 ზენიტი**

0:1 პოგრებნიაკი (39), 1:1 ალექსანდროუ (58), 2:1 ფოტაკისი (63), 2:2 ზირიანოვი (71), 2:3 ფათიჰ თეკე (79)

**ნიურნბერგი 0:2 ევერტონი**

0:1 არტეტა (83პ), 0:2 ანიჩებე (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ევერტონი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ზენიტი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ალკმაარი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ნიურნბერგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ლარისა | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |

### B ჯგუფი

**კოპენჰაგენი 0:1 პანათინაიკოსი**

0:1 ნდოიე (16)

**აბერდინი 1:1 ლოკომოტივი**

1:0 დიამონდი (27), 1:1 ივანოვიჩი (45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| ატლეტიკო | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 |
| კოპენჰაგენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| აბერდინი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 0 |

### C ჯგუფი

**ბოლესლავი 1:2 ვილიარეალი**

0:1 ნიჰათი (33), 0:2 კაზორლა (55), 1:2 მენდი (89)

**ფიორენტინა 6:1 ელფსბორგი**

1:0 იორგენსენი (4), 2:0 ვიერი (5), 2:1 იშიზაკი (41), 3:1 დონადელი (62), 4:1 კროლდრუპი (65), 5:1 იორგენსენი (77), 6:1 კარმინე (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიორენტინა | 2 | 1 | 1 | 0 | 7:2 | 4 |
| ვილიარეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| აეკ | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ელფსბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:7 | 1 |
| ბოლესლავი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

### D ჯგუფი

**რენი 1:1 ბრანი**

0:1 კარადასი (23), 1:1 შეირუ (87)

**დინამო 0:0 ბაზელი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ჰამბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| დინამო | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ბრანი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| რენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

### E ჯგუფი

**სპარტაკი 2:1 ლევერკუზენი**

1:0 პავლიუჩენკო (63პ), 2:0 მოცარტი (77პ), 2:1 ფრაიერი (90)

**ტულუზი 2:3 სპარტა**

1:0 ელმანდერი (13), 1:1, 1:2 კისელი (33, 68), 2:2 მანსარე (79), 2:3 კისელი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ციურიხი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სპარტაკი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სპარტა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ტულუზი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |

### F ჯგუფი

**ბაიერნი 2:2 ბოლტონი**

0:1 გარდნერი (8), 1:1, 2:1 პოდოლსკი (30, 49), 2:2 დევისი (82)

**არისი 3:0 ცრვენა ზვეზდა**

1:0, 2:0 პაპაცოღლუ (77, 89), 3:0 კოკე (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| არისი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ბოლტონი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ბრაგა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ცრვენა ზვეზდა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |

### G ჯგუფი

**ჰაპოელი 0:2 ტოტენჰემი**

0:1 კინი (26), 0:2 ბერბატოვი (31)

**ოლბორგი 1:1 ანდერლეხტი**

0:1 ჯაკობსენი (59ს.კ.), 1:1 ლინდსტრომი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ტოტენჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ხეტაფე | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ოლბორგი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ჰაპოელი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

### H ჯგუფი

**გალათასარაი 2:3 ჰელსინგბორგი**

0:1 ლარსონი (30პ), 0:2 ომოტოიოზი (39), 1:2 ნონდა (44), 1:3 ანდერსონი (75), 2:3 ნონდა (90)

**აუსტრია 1:2 ბორდო**

1:0 კულიჩი (5), 1:1 შამახი (45), 1:2 ვენდელი (88პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ჰელსინგბორგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| პანიონიოსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| აუსტრია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| გალათასარაი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 |

## ნორვეგია

### გადასასვლელი პლეი ოფი. პირველი მატჩი

**ოდ გრენლანდი 0:1 ბოდიო გლიმტი**

# აირ-დაირია

## საგანგებო ვითარებამ დეკემბერი საფეხბურთო თვედ გადააქცია



[illegible] ფოტო

**ქვეყანაში** გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა, ცხადია, ფეხბურთსაც შეეხო.

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დეკრეტის თანახმად, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გამო, პროფესიული ფეხბურთის ლიგამ უმაღლესი და პირველი ლიგების, ასევე დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის" გათამაშების მატჩები 15 დღით გადადო.

კალენდრის მიხედვით, ამ 15 დღეში უმაღლესი ლიგის ერთი და პირველი ლიგის სამი ტური უნდა ჩატარებულიყო.

პროფლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა გვითხრა, ეს მატჩები, სავარაუდოდ, დეკემბრის პირველ ნახევარში გაიმართებაო.

იმ დროს, 5 ან 8 დეკემბერს, „ფოლკსვაგენის" თასის მატჩიც უნდა ჩატარდეს რუსთავის „ოლიმპსა" და თბილისის „ამერს" შორის — ამიტომაც, უმაღლესი ლიგის თამაშებს ალბათ ამის შემდეგ დანიშნავენ.

მოკლედ, დეკემბერი მაგრად დატვირთული თვე იქნება.

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს პრეზიდენტის
**დეკრეტი**

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებათა შესახებ

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საგანგებო მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით:

ა) შეიზღუდოს საქართველოს კონსტიტუციის 24-ე, 25-ე და 33-ე მუხლების მოქმედება;

ბ) შეჩერდეს ყველა ტელე და რადიომაუწყებლის მიერ ინფორმაციის მიღება და თავისუფლად გავრცელება ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებებით;

გ) ინფორმაციის მიღება და გავრცელება განახორციელოს მხოლოდ საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა.

2. დეკრეტი 48 საათში წარედგინოს საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

3. დეკრეტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

N 1
2007 წლის 7 ნოემბერი
ქ. თბილისი

მიხეილ სააკაშვილი

# სად და როგორ იქნება საქართველო — ლიტვა?

სად გაიმართება 21 ნოემბერს საქართველო — ლიტვა? მატჩის ჩატარება ეჭვს არ იწვევს, რადგან ეს ციკლის ბოლო დღეა, თამაშიდან ორ დღეში კი ფიფას ახალი რეიტინგი გამოქვეყნდება, რომლის მიხედვითაც, 25 ნოემბერს მუნდიალ-2010-ის შესარჩევი ჯგუფების კენჭისყრა უნდა შედგეს. ამ ყველაფერთან დაკავშირებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **უჩა უგულავას** ვკითხეთ...

— თამაშის გადადება გამორიცხულია. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, უბრალოდ, დროის ფაქტორია — მეტი სარეზერვო თარიღი არც არის დარჩენილი.

**— ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ მატჩი საქართველოში კი არა, ნეიტრალურ ქვეყანაში გაიმართოს?**

— არა მგონია. უბრალოდ, ახლა ზოგიერთი რამ გასარკვევია — თბილისის მერთან გვაქვს სათათბირო.

**— და როდის გეცოდინებათ საბოლოო პასუხი?**

— ორშაბათს. იქამდე დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვი, თუმც მატჩი უეჭველად 21 ნოემბერს გაიმართება.

*ჩვენი მხრივ, ვიტყვით, რომ, როცა ასეთი საგანგებო მდგომარეობაა ქვეყანაში, ცხადია, მერია სიფხიზლეს გამოიჩენს, რათა სტადიონზე უსაფრთხოების ზომები მაქსიმალურად იყოს დაცული. შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ სტადიონზე ანშლაგი არ დაუშვან, ანუ ბილეთები შეზღუდული რაოდენობით გაიყიდოს. ვნახოთ...*

**ილია ნანობაშვილი**



[illegible] ფოტო

# რუსეთს საფრთხე არ ელის

**საქართველოს** და რუსეთის ნაკრებთა დაპირისპირება ყოველთვის პრინციპული რომ არის, მტკიცება რად უნდა.

20 ნოემბერს თბილისში ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები სწორედ რუს თანატოლებს ხვდება.

რუსები ჯგუფის ლიდერები არიან, პეტარ სეგრტის ბიჭები კი შედეგით ვერ დაიკვეხნიან — ოდენ სამი ქულა აქვთ ხუთი მატჩის მერე — ერთადერთი თამაში რუსთავში ყაზახებს მოუგეს (2:1).

ჩვენს ქვეყანაში შექმნილი საგანგებო ვითარების გამო ამ მატჩის ჩატარება-არჩატარების თაობაზე გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გოგი ქავთარაძეს რომ შევეხმიანეთ, ეს გვითხრა: „ამ ეტაპზე მატჩის გადადების საშიშროება არ არსებობს და 20 ნოემბერს „მიხეილ მესხზე" შეხვედრა დათქმულ დროს, 19 საათზე დაიწყება. თუ რამე შეიცვალა, ამას უახლოეს ორ დღეში შეიტყობთ."

**ნუკრი ლოლაძე**



[illegible] ფოტო

გოგი ქავთარაძე და ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი პეტარ სეგრტი

# ახალგაზრდებს უეფამ ბერძნები გამოუგზავნა

**20 ნოემბერს** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ შეხვედრაში რუსეთის ნაკრებს უმასპინძლებს. მატჩი 19 საათზე დაიწყება.

უეფას გადაწყვეტილებით, საქართველო — რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა ევროშესარჩევ მატჩს ბერძენი მსაჯები მოემსახურებიან: არბიტრი — მეხალის გერმანაკოსი; თანამსაჯები — დიმიტრიოს პაპადოპულოსი და ხრისტოს აკრივოსი; სათადარიგო არბიტრი — ვასილიოს პამპოდორისი.

და ერთიც: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, 17 ნოემბერს უკრაინის და ლიხტენშტაინის ახალგაზრდული ნაკრებების ევროშესარჩევ მატჩს ქართველი მსაჯები მოემსახურებიან: არბიტრი — ლაშა სილაგავა; თანამსაჯები — ბესიკ ჭიჭინაძე და გურამ ჩიგოგიძე; მეოთხე მსაჯი — ლევან კვარაცხელია.

ეს შეხვედრა ქალაქ ზაპოროჟიეში, „სლავუტიჩ-არენაზე" ჩატარდება.

**კახა შალამბერიძე**



კიევის „არსენალის“ ფორვარდი გიორგი დემეტრაძე 16 და 21 ნოემბრის სანაკრებო მატჩებისთვის მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა არ გამოიძახა.
დემეტრაძე ამ სეზონში ძველებური შედეგიანობითა და კარგი თამაშით ნაღდად ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ეროვნული გუნდის თავკაცი მას, თუ რამ ობიექტური მიზეზი არ იყო, ყოველთვის იწვევდა. ამჯერად კი დემეტრაძეს არც ტრავმა აწუხებს, არც დისკვალიფიკაცია აქვს, მაგრამ ტოპმიოლერმა მაინც ნაკრებს მიღმა დატოვა...

# დემეტრაძემ დემეტრაძეს არ დაუძახა
## ფორმა და თამაში ერთი უნდა იყოს

— ნაკრებში გამოუძახებლობის მიზეზი ჩემთვის არავის უთქვამს, თუმცა ეს დიდი გამოცანა არც არის — არ ვარ ისეთ ფორმაში, სანაკრებო მოთხოვნები დავაკმაყოფილო.

— „არსენალშიც“ ისე სტაბილურად ვეღარ თამაშობ, როგორც აქამდე, სხვა გუნდებში...

— კონკრეტულ მიზეზებს ვერ გეტყვით, თუმცა მართლაც, ამ სეზონში ისე ვერ ვთამაშობ, როგორც მსურს.

— რატომ, რა დააკელი თავს?

— ეს რომ ვიცოდე, ასეთი ჩავარდნა არც მექნებოდა. ეტყობა, თავს ისეთი ყურადღება არ მივაქციე, როგორც ეს აქამდე იყო.

— მომავალში რა იქნება?

— უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრე მალე დამთავრდება, მერე დავისვენებ, დავმშვიდდები და იმედი მაქვს, გაზაფხულიდან სათამაშო ფორმას აღვიდგენ.

— როგორც ვიცით, კიევის „არსენალთან“ სამწლიანი კონტრაქტი გაქვს...

— ეს და კიდევ ორი სეზონი „არსენალში“ უნდა ვითამაშო, მაგრამ კონტრაქტის დამთავრებამდე სათადარიგოდ ყოფნა ჩემთვის შეუფერებელი იქნება. თავს თუ შევატყობ, რომ ფორმა აღვიდგინე, მერე ძირითად შემადგენლობაზეც მექნება პრეტენზია. დღესდღეობით კი ვვარჯიშობ და ვფიქრობ, რომ უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრეს სათანადოდ მომზადებული შევხვდები.

— ეროვნული გუნდი კი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს სწორედ 21 ნოემბერს, ლიტვასთან ამთავრებს...

— ნაკრების ხელმძღვანელობა, მგონი, სწორს აკეთებს, როცა გუნდში ჭაბუკ ფეხბურთელებს ეძახის. ეს ბიჭები ნაკრებს ნელ-ნელა მიეჩვევიან და მჯერა, რომ მომავალში სტაბილურად ითამაშებენ. ასეა, ახალგაზრდები გეგმაზომიერად უნდა მიიყვანო ქვეყნის მთავარ გუნდში. თავად კი, როგორც გითხარით, ამჟამად ფორმაში არ ვარ. ტოპმიოლერი რომ ვიყო, ახლა დემეტრაძეს არც მე დავუძახებდი. ამ სეზონში სულ ორი გოლი გავიტანე და...

**კობა ინასარიძე**

# სეგრტს არ დავეიმედებინე მაინც
## აკაკი ხუბუტია: ლიტვას საქართველო უკვირს

ლიტვის ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა, თუმც ნუკრი მანჩხავას, გივი კვარაცხელიას და აკაკი ხუბუტიას „კაუნასი“ სამი ტურით ადრე გახდა ჩემპიონი. კვარაცხელია და მანჩხავა მუდმივად ძირითადის ფეხბურთელებად ითვლებოდნენ, ბოლო რამდენიმე მატჩში კი ხუბუტიამაც დაიბევა თერთმეტეულში ადგილი. აკაკის გუშინ დავუკავრდით და არა მარტო პირად და კაუნასურ ამბებზე, მოახლოებულ საქართველო — ლიტვის მატჩზეც ვკითხეთ...



— როგორც მოსალოდნელი იყო, „კაუნასი“ იოლად გახდა ლიტვის ჩემპიონი...

— მთლად ასეც არაა. ყველა თამაშში ბრძოლა გვიწევდა, ლიტვის ჩემპიონატში გამორჩეულად სუსტი არავინაა, მაგრამ კლასით „კაუნასი“ ყველას სჯობნის. ძლიერი შემადგენლობა გვყავს, აგერ, პასკალ მენდი სენეგალის ნაკრების ფეხბურთელია, ბრაზილიელი რაფაელიც ცნობილია... მოკლედ, დიდი კონკურენციაა.

— ადრე იშვიათად გათამაშებდნენ, ბოლო მატჩებში კი ძირითადში ხვდები. რა შეიცვალა?

— ბევრი გადაწყვიტა შოტლანდიურ „ჰართსთან“ თამაშმა. „ჰართსი“ პალანგაში იყო ჩამოსული და მათთან ამხანაგურ მატჩში ძირითადში დამაყენეს. კარგად ვითამაშე, მწვრთნელმაც შემაქო.

— ადრე წასვლას აპირებდი „კაუნასიდან“. ალბათ, გადაიფიქრე...

— კონტრაქტით კიდევ ორი წელი დამრჩა და კლუბის ხელმძღვანელობამ ნახევარი წლით გახანგრძლივება შემომთავაზა, თუმც ჯერ არ ვჩქარობ.

— კვარაცხელია და მანჩხავაც რჩებიან?

— კვარაცხელია რჩება, მანჩხავას ამბავი კი გასარკვევია. მგონი, პირობებზე ვერ შეუთანხმდა ხელმძღვანელობას, თუმც ჯერ არ გადაუწყვეტია, წავიდეს თუ დარჩეს.

— საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში, კარგა ხანია, აღარ გიძახებენ...

— გული დამწყდა, მაგრამ ნათქვამია, მწვრთნელი ყოველთვის მართალიაო. ბოლოს რომ ვითამაშე ახალგაზრდულში, პეტარ სეგრტმა მითხრა, აბა, შენ იცი, პოლონეთთან მატჩისთვის მოემზადეო. არ დაეიმედებინე მაინც... მცველმა ახალგაზრდულის სამ თამაშში ორი გოლი გავიტანე და ნაღდად არ მეგონა, ჩემზე ხელს თუ ჩაიქნევდნენ. ვერც იმას იტყვის ვინმე, რომ ხუბუტიას გამო წააგო ნაკრებმა რომელიმე მატჩი. რას ვიზამ, კლუბში უნდა მოვმაგრდე, ნაკრების დრო კი, იმედია, მოვა.

— 21 ნოემბერს თბილისში საქართველო ლიტვის ეროვნულ ნაკრებს შეხვდება. რას ამბობენ ლიტველები, როგორი განწყობა აქვთ?

— აქ შესარჩევი ციკლის დაწყებამდეც იცოდნენ, რომ მეოთხე-მეხუთე ადგილს ვერ ასცდებოდნენ ჯგუფში. ძალიან უნდათ, რომ საქართველოს არ ჩამორჩნენ და მეხუთეზე მაინც გავიდნენ. იმედიანად არიან. გუშინ ლიტველმა ჟურნალისტმა დამირეკა, საქართველოს ნაკრებზე მელაპარაკა და განსაკუთრებით ახალგაზრდები აინტერესებდა, ასე რატომ გადაახალისეს ნაკრებიო...

**ილია ნანობაშვილი**

# ამისულაშვილის საქმე 14 ნოემბრამდე გადაიწია



**რუსული** გამოცემებისთვის „ამისულაშვილის საქმე“ ძალიან პოპულარული თემაა.

როგორც ცნობილია, ნალჩიკის „სპარტაკის“ ქართველი ფეხბურთელი ალექსანდრე ამისულაშვილი სკანდალში გაეხვია — ვლადივოსტოკელი გოგონა, ვინმე ალესია, გაუპატიურებაში ადანაშაულებს.

პრიმორსკის მხარის პროკურატურამ, რომელიც ამ საქმეს იძიებს, საგამოძიებო საქმის საფუძვლიანად შესწავლის დრო 14 ნოემბრამდე გადასწია.

პროკურატურის გამომძიებელ ავრორა რიმსკაიას თქმით, კიდევ რამდენიმე სახის ექსპერტიზაა ჩასატარებელი და დასაკითხია რამდენიმე ახალი მოწმე.

აქვე იმასაც შევახსენებთ, რომ ამ ბრალდებას ამისულაშვილიც უარყოფს და მისი კლუბიც. თან „სპარტაკი“ მზად არის, ფეხბურთელის დასაცავად ბოლომდე იბრძოლოს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

### ჩვენი მეტოქეები

# მამალი უტრეზეგეოდ

**21 ნოემბერს** საფრანგეთის ნაკრებს უმნიშვნელოვანესი შეხვედრა აქვს კიევში უკრაინასთან. ამ მატჩში ფრანგებს აუცილებლად მოგება სჭირდებათ, რათა 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე დაიგულონ თავი.

ფრანგთა თავკაცმა 24-კაციანი სია გამოაქვეყნა, რომელშიც ვერ მოხვდნენ იტალიური „იუვენტუსისა“ და ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელები — დავიდ ტრეზეგე და ლუი საა.

***მეკარეები:*** *სებასტიან ფრეი (ფიორენტინა, იტალია), მიკაელ ლანდრო (პსჟ), ულრიხ რამე (ბორდო);*

***მცველები:*** *ერიკ აბიდალი (ბარსელონა, ესპანეთი), სებასტიან სკილაჩი (ლიონი), პატრის ევრა (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), უილიამ გალასი (არსენალი, ინგლისი), ფრანსუა კლერკი (ლიონი), ბაქარი სანია (არსენალი, ინგლისი), ლილიან ტურამი (ბარსელონა, ესპანეთი);*

***ნახევარმცველები:*** *ალოუ დიარა (ბორდო), ლასანა დიარა (არსენალი, ინგლისი), მეტიუ ფლამინი (არსენალი, ინგლისი), კლოდ მაკელელე (ჩელსი, ინგლისი), ჟერემი ტულალანი (ლიონი), სამირ ნასრი (მარსელი);*

***თავდამსხმელები:*** *ნიკოლა ანელკა (ბოლტონი, ინგლისი), კარიმ ბენზემა (ლიონი), სიდნეი გოვუ (ლიონი), ტიერი ანრი (ბარსელონა, ესპანეთი), ფლორენ მალუდა (ჩელსი, ინგლისი), ფრანკ რიბერი (ბაიერნი, გერმანია), ჰატემ ბენ არფა (ლიონი).*

**ნუკრი ლოლაძე**

# უნაკლო შოტლანდია

**ჩვენს** ჯგუფში შოტლანდიის ნაკრებს ერთი მატჩი დარჩა ჩასატარებელი და თუ ევროპის ჩემპიონატზე წასვლა სურს, უეჭველად უნდა მოიგოს. ამოცანა კი ნამდვილად რთულია — მეტოქე მსოფლიოს ჩემპიონი იტალიაა.

სქოთებს ცალი ფეხი ავსტრია-შვეიცარიაში ჰქონდათ, მეორე კი სად დაუცდათ, კარგად გეცოდინებათ. ამიტომ ალექს მაკლიში შეგირდებს აქედანვე სერიოზულად ამზადებს „სკუადრა აძურასთან“ საომრად.

მაკლიშმა ნაკრებში 25 ფეხბურთელი იხმო და თან დაშვებულ-დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავს...

***მეკარეები:*** *კრეიგ გორდონი (სანდერლენდი, ინგლისი), დევიდ მარშალი (ნორვიჩი, ინგლისი), ალან მაკგრეგორი (რეინჯერსი);*

***მცველები:*** *გრემ ალექსანდერი (ბარნლი, ინგლისი), გარი კოლდუელი (სელტიკი), სტივენ მაკმანუსი (სელტიკი), ალან ჰატონი (რეინჯერსი), დევიდ ვეირი (რეინჯერსი), კრისტიან დეილი (ვესტ ჰემი, ინგლისი), ჯეი მაკიაველი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), გარი ნეისმიტი (შეფილდ იუნაიტედი, ინგლისი);*

***ნახევარმცველები:*** *სკოტ ბრაუნი (სელტიკი), პოლ ჰარტლი (სელტიკი), ბარი ფერგიუსონი (რეინჯერსი), ლი მაკკალოხი (რეინჯერსი), დარენ ფლეტჩერი (მანჩესტერი, ინგლისი), სტივენ პირსონი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), გარი ტილი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), ბარი რობსონი (დანდი იუნაიტედი);*

***თავდამსხმელები:*** *კრეიგ ბიტი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), კრის ბოიდი (რეინჯერსი), ჯეიმს მაკფადენი (ევერტონი, ინგლისი), შონ მელოუნი (ასტონ ვილა, ინგლისი), კენი მილერი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), გარი ოკონორი (ბირმინგემი, ინგლისი).*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მეორე პირველია
## ტენ კატე აკონტროლებს

„**ჩელსიმ**" გადაიტანა ჟოზე მაურინიუს წასვლა და გუნდში სიმშვიდემ დაისადგურა, მაგრამ ვითარება, შესაძლოა, ისევ აირიოს. მიზეზი ჰენკ ტენ კატეა, რომელიც ორი კვირის წინ „აიაქსიდან" მიიყვანეს აბრაამ გრანტის თანაშემწედ. ჰოლანდიელმა უმალ ჩაიგდო ხელში საწვრთნელი პროცესის სადავეები და მისი მეთოდებით ფეხბურთელები უკმაყოფილონი არიან.


სტივ კლარკი, აბრაამ გრანტი და ჰენკ ტენ კატე

ტენ კატე მიკიბვ-მოკიბვის კაცი არაა — იგი პირდაპირია და მოთამაშეებს არ ელოლიავება, რამაც ზოგიერთ ჩელსელში აჯანყების სურვილი გააღვიძა. ამბობენ, რომ ჰოლანდიელი თავხედია. ტენ კატეს „აიაქსიდან" წამოსვლის წინ მეგობრებისთვის უთქვამს, „ჩელსიში" თანაშემწედ მივდივარ, მაგრამ პირველი კაცი მე ვიქნებიო.

გაირკვა ისიც, რომ გრანტის მეორე ასისტენტი სტივ კლარკი, ვინც მაურინიუსთანაც მუშაობდა, ჰოლანდიელმა შეავიწროვა და ლამის თავის თანაშემწედ აქცია. ჟოზე მაურინიუს წასვლისა და აბრაამ გრანტის დანიშვნის შემდეგ შოტლანდიელი კლარკი აკონტროლებდა ვითარებას და ვარჯიშებსაც ის გეგმავდა, მაგრამ ახლა ჰოლანდიელი გაყოჩდა.

„თაიმსის" მიმომხილველი მეტ ჰიუზი ამბობს, რომ მცირე კონფლიქტის მიუხედავად, ჰოლანდიელი და შოტლანდიელი კარგად არიან „შეთამაშებულნი". სწორედ მათ დაარწმუნეს აბრაამ გრანტი, შეეცვალა ტაქტიკა „ლესტერთან" სათასო დრამატულ მატჩში.

„ჩელსის" აღმასრულებელმა შეფმა პიტერ კინიონმა დაარწმუნა კლარკი, რომ მას საფრთხე არ ემუქრება და ასისტენტებს შორის საქმე თანაბრად განაწილდება, მაგრამ რეალობა სხვანაირია. სტივ კლარკს კონტრაქტი ჯერ არ გაუხანგრძლივებია და არც აპირებს, რადგან ამბიციურია და სამუშაოს სხვაგან ეძებს.

„ჩელსის" შეფები აცხადებენ, რომ საპანიკო არაფერია და მწვრთნელები ერთმანეთს მიეჩვევიან, ხოლო ფეხბურთელებს სიმშვიდეს და მოთმინებას სთხოვენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კაცი ნაფტალინიდან

**ფრენკ ლამპარდი** ამბობს, რომ 34 წლის კარლო კუდიჩინი „ჩელსის" გარდა ნებისმიერ სხვა ინგლისურ გუნდში რომ გადავიდეს, მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ აღიარებენ.

საქმე ის გახლავთ, რომ ლონდონური კლუბის იტალიელ მეკარეს დაშავებული პეტრ ჩეხის შესაცვლელად „ნაფტალინიდან ამოსვლა" მოუხდა. მან ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში, გელზენკირხენში, „შალკესთან" ერთი წლის უთამაშებელმა ითამაშა. ის მატჩი, როგორც იცით, 0:0 დასრულდა, კუდიჩინის კი კიდევ ექვსი კვირის განმავლობაში მოუხდება ძელებს შორის დგომა — ამ ხნის განმავლობაში ჩეხი, სავარაუდოდ, მოირჩენს ნატკენ ფეხს.

ლამპარდი: „ის, თავისი დონით, აშკარად მთავარი მეკარეა და ძირითადში იმიტომ ვერ ვხედავთ, რომ ბოლო წლებში პეტრ ჩეხი სასწაულად თამაშობს. კუდიჩინი ნამდვილი პროფესიონალია. საკმარისია, სიტუაციამ მოითხოვოს და, ის ჩინებულ ფორმაში მყოფი ხვდება პასუხისმგებლობას. ერთი წუთით ნუ მივაქცევთ ყურადღებას, რომ ის მეორე მეკარეა და აშკარად დავინახავთ, რომ ის პრემიერლიგაში ერთი საუკეთესოთაგანია. მისი თამაში მეტისმეტად შთამბეჭდავი გახლავთ. ასე განსაჯეთ, მიუხედავად იმისა, რომ კარლო მეკარეა, როდესაც ის თამაშობს, გუნდის შეტევა უფრო მწვავეა. მაშინაც კი, როდესაც დიდი ხნის უთამაშებელია, ის კარში მტკიცედ დგას და არავისზე ნაკლებად არ გამოიყურება".

კუდიჩინისთვის ქების სიტყვები არც ლონდონელთა მარცხენა მცველმა უეინ ბრიჯმა დაიშურა:

„მეკარის ცვლილების გამო ერთი წამით არ მინერვიულია. კარლო ისეთივე პროფესიონალი და მაღალი დონის გოლკიპერია, როგორიც გახლავთ პეტრი. ჩვენი კლუბისთვის ორი ასეთი მეკარისა და პლუს ილარიოს ყოლა უდიდესი სიმდიდრეა".

შეგახსენებთ, რომ კარლო კუდიჩინი „ჩელსიმ" ჯერ კიდევ ჯანლუკა ვიალის დროს იყიდა იტალიური „კასტელ დი სანგროდან" 160 ათას გირვანქად. ლონდონური გუნდის შემადგენლობაში იტალიელ მეკარეს 196 მატჩი აქვს ჩატარებული, თუმცა ეს თითქმის ორასი მატჩი ინგლისში ცხოვრების შვიდ წელიწადზეა გადაჭიმული.

**ბაბუნა ქედია**



## არშავინს ეკაჭკაჭებიან

**რუსული** მედიის ცნობით, „ზენიტის" ფორვარდ ანდრეი არშავინით „ნიუკასლი" დაინტერესდა. „კაჭკაჭებმა" [illegible] მიმართეს 26 წლის ფეხბურთელის ტრანსფერის თაობაზე და პასუხს ელიან. არშავინის ფასი 12 მილიონი ევროა.

„ნიუკასლის" მწვრთნელ სემ ალარდაისის შვილი კრეიგი კარგად იცნობს ზენიტელის აგენტ პაველ ანდრეევს და მისი დახმარებით აპირებს გარიგების მოგვარებას.

## დროგბასმაგვარი ჯონსი

„**ლივერპულს**" „სანდერლენდიდან" კენუაინ ჯონსის გადაბირება სურს — წერს „დეილი მირორი".

ტრინიდადელი ფორვარდი ამ სეზონის აღმოჩენაა და პრემიერლიგის ბობოლების ყურადღება მიიპყრო. მას დიდიე დროგბას ადარებენ და „სანდერლენდი" 18 მილიონ ევროს ითხოვს ფეხბურთელში, რომელიც ამ ზაფხულს „საუთჰემპტონიდან" ცხრად შეიძინა.

„ლივერპული" მზადაა, ჯონსის სანაცვლოდ პიტერ კრაუჩი დათმოს და ფულიც დაამატოს.

## მენესი დასწრებაზეა

„**ინტერს**" მონაკოელი ნახევარმცველი ჟერემი მენესი მოსწონს და იანვარშივე აპირებს ტრანსფერის გაჩარხვას, რადგან „ლივერპული" და „მანჩესტერი" ჩასაფრებულნი არიან და მათაც უნდათ 20 წლის ფეხბურთელის ყიდვა.

„ინტერმა" შარშანწინ „მონაკოდან" მაიკონი შეიძინა და ფრანგულ კლუბთან საქმიანი ურთიერთობა აქვს — წერს „გაძეტა დელო სპორტი".

## ვიდიჩს შესთავაზეს

„**მანჩესტერის**" მცველ ნემანია ვიდიჩს კლუბმა ახალი კონტრაქტი შესთავაზა გაუმჯობესებული პირობებით. 26 წლის სერბს კვირაში 90 ათას გირვანქას გადაუხდიან. მას ხელშეკრულება 2009-ში უმთავრდება.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენწლიან კონტრაქტზე მოაწერს ვიდიჩი ხელს.

## ცხრა მივეცით, ცხრა მოგვეცით

„**იუვენტუსში**" სათადარიგოდ ქცეული 27 წლის ნახევარმცველი სერხიო ალმირონი ამ ზამთარს, შესაძლოა, პრემიერლიგურ კლუბში გადავიდეს — წერს „ტუტოსპორტი".

მისით „ვესტ ჰემი" და „ტოტენჰემი" დაინტერესდნენ. არგენტინელის სანაცვლოდ ინგლისელებს 9 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ. სწორედ ამდენი დაუჯდა „იუვეს" ალმირონი, რომელიც „ემპოლიდან" შეიძინა.

## აგეროს აძვირებენ

**მადრიდის** „ატლეტიკოს" ფორვარდ სერხიო აგეროს „ინტერი" ეპატიჟება — წერს კატალონიური „სპორტი".

იანვარში „შავ-ლურჯები" 22 მილიონს შეაჩეჩებენ მადრიდელებს 19 წლის არგენტინელის სანაცვლოდ. „ატლეტიკოს" გასაშვებად არ ემეტება ნიჭიერი თავდამსხმელი და მის კონტრაქტში ახალი პუნქტის შეტანას აპირებს, რომლითაც აგეროს ფასი ერთიორად აიწევს.

ამჟამად არგენტინელი 33 მილიონი ევრო ღირს.

## გულიტის ამერიკა

**რუუდ გულიტს** „ლოს ანჯელეს გალაქსის" მწვრთნელობა შესთავაზეს. „დეილი სტარის" ცნობით, 45 წლის ჰოლანდიელი, რომელიც SKY-ზე კომენტატორად მუშაობს, ამერიკულ კლუბს მარტში ჩაიბარებს.

„გალაქსის" თავკაცი ფრენკ იალოპი ორშაბათს გაათავისუფლეს და სამუშაოდ „სან ხოსეში" წავიდა.

## ჩეხს რიგი დაუდგა

„**ფიორენტინას**" ჩეხი მცველის ტომაშ უიფალუშის აგენტმა დალიბორ ლაჩინამ განაცხადა, რომ მის კლიენტს რვა კლუბმა შესთავაზა კონტრაქტი. 29 წლის ჩეხს „იებთან" ხელშეკრულება სეზონის ბოლოს უმთავრდება.

„ევროპის რვა დიდი კლუბი დაგვიკავშირდა, მაგრამ ტომაში ამ წინადადებებს ჯერ არ განიხილავს — თქვა ლაჩინამ — იგი „ფიორენტინას" პატივს სცემს და ახალი გუნდის მოძებნაზე სეზონის დასრულების შემდეგ ვიზრუნებთ".

უიფალუში „იებში" 2004 წელს „ჰამბურგიდან" გადავიდა.

## როცა ბარსას ვუყურებ...

„**მარსელის**" ნიჭიერმა ნახევარმცველმა სამირ ნასრიმ თქვა, ესპანეთში და იტალიაში სიამოვნებით ვითამაშებდიო. 20 წლის ფრანგს „ინტერი" და „რეალი" ეპატიჟებიან.

„უცხო ლიგაში გადასვლას არ გამოვრიცხავ. განსაკუთრებით პრიმერადივიზიონი და სერია A მომწონს. როცა „ბარსელონას" ვუყურებ, ესპანეთში თამაში მინდება. საამისოდ დრო ალბათ მოვა, მანამდე კი „მარსელს" უნდა მივხედო".

**ვაჟა ხუციშვილი**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
ჯგუფური ეტაპი. მეოთხე ტური

# ანრის ხელი გამოუჩნდა

**E ჯგუფი**

**ბარსელონა 2:0 რეინჯერსი**
1:0 ანრი (6), 2:0 მესი (43)
**ბარსელონა:** ვალდესი, პუიოლი (ოლეგერი 86), მარკესი, მილიტო, აბიდალი, ხავი, ი. ტურე, ინიესტა (გუდიონსენი 71), მესი, რონალდინიო (კრკიჩი 77), ანრი
**მწვრთნელი:** ფრანკ რაიკარდი
**რეინჯერსი:** მაკგრეგორი, პატონი, ვეირი, პაპაჩი, კუელიარი, ფერგიუსონი, ჰემდანი, ედამი (დარშვილი 62), ბისლი (ნოვო 69), მაკკალობი, კუზინი (ნეისმიტი 78)
**მწვრთნელი:** უოლტერ სმიტი
**მსაჯი:** ერიკ ბრაამბაარი (ჰოლანდია)
80 000 მაყურებელი

„ბარსელონა“ სანახევროდ უკვე მერვედფინალშია. კატალონიელებმა „კამპ ნოუზე“ „რეინჯერსი“ დაამარცხეს, რომელმაც თამაშის პირველი წუთები მხნედ დაიწყო, მაგრამ მეორე ტაიმში დანებდა ძლიერ მეტოქეს. ანგარიში ანრიმ გახსნა, შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე კი შოტლანდიელებს გოლი მესიმაც შეუგდო. მეორე ტაიმიც „ბარსასი“ იყო, თუმც მასპინძლებმა გოლების გატანა ველარ მოახერხეს.

თამაშის მეორე დღეს ესპანურმა „მარკამ“ დაწერა, ვინმეს მატჩის მარტო მეორე ტაიმი რომ ენახა, პრიმერაში „ბეტისთან“ შესანიშნავი შეხვედრის გაგრძელება ეგონებოდაო. „ბარსელონა“ შინაურ არენაზე გალაღდა, „რეინჯერსის“ ფეხბურთელები კი ძირითადად დაცვაზე ფიქრობდნენ.

მეექვსე წუთზე საგოლე შანსი ტიერი ანრის მიეცა და ფრანგმაც


ტიერი ანრი

იყოჩაღა, ოღონდ... ხელით. მესის თავური დარტყმის შემდეგ ანრიმ ტაბლოზე 1:0 აანთო, თუმცა მაკგრეგორის კარში შევარდნამდე ბურთი ნაღდად ხელზე მოხვდა.

ამის მერე „რეინჯერსმა“ შეტევებს მიმართა, თუმცა ძალიან გაუბედავად — ვალდესი თითქმის უსაქმოდ იდგა კარში, „ბარსამ“ კი სახიფათო იერიშები გააგრძელა, ინიესტამ და რონალდინიომ კარგი საგოლე შანსები ვერ გამოიყენეს.

თუმცა მესიმ თავისი საქმე მაინც გააკეთა. უფერული „რეინჯერსის“ ფონზე „ბარსელონას“ ვარსკვლავებმა ორმაგად გაიბრწყინეს და რონალდინიო-მესის კომბინაციის შემდეგ არგენტინელმა მეორე გოლი გაიტანა.

შესვენების მერე „კამპ ნოუს“ შესეული მთვრალი შოტლანდიელი ფანების სამწუხაროდ, მოედანზე ადგილობრივი გუნდი ყოჩაღობდა. ხავიმ, მესიმ და ბოიან კრკიჩმა გოლები ვერ გაიტანეს, სტუმართაგან კი მარტო ნაჩო ნოვომ გაისროლა სახიფათოდ და ისიც ვალდესმა განალმა — ვიქტორიისთვის საამსეზონო ლიგაში ჯერ გოლი არ გაუტანიათ.

**ლიონი 4:2 შტუტგარტი**
1:0 ბენ არფა (6), 2:0 კალსტრიომი (15), 2:1 გომესი (16), 3:1 ბენ არფა (37), 3:2 გომესი (56), 4:2 ჟუნინიო (90)
**ლიონი:** ვერკუტრე, რეველიერი, ანდერსონი, სკილაჩი, გროსო, კალსტრიომი, ჟუნინიო, ფაბიო სანტუში, ბენზემა (ბელჰაჯი 82), გოვუ (კლერკი 90), ბენ არფა (ა. კეიტა 70)
**მწვრთნელი:** ალენ პერენი
**შტუტგარტი:** შეფერი, ბეკი (ოსორიო 77), ტასკი, დელპიერი, მანინი (ფარნერუდი 81), ფ. მეირა, ბაშთურქი, პიცლშპერგერი, ხედირა, კაკაუ (მარიკა 59), გომესი
**მწვრთნელი:** არმინ ფეე
**გაფრთხილება:** ბაშთურქი, რეველიერი, ტასკი, გროსო, გოვუ, კეიტა
**მსაჯი:** იური ბასკაკოვი (რუსეთი)
38 000 მაყურებელი

„სტად ჟერლანზე“ ალენ პერენის „ლიონმა“ „შტუტგარტი“ დაჯაბნა. ორი გოლით ბენ არფამ იხეირა, თითო-თითოჯერ კი კალსტრიომმა და ჟუნინიომ, რითაც შტუტგარტელთა მარიო გომესის დუბლს აჯობეს. გომესმა პენალტიც მოინაგრა, თუმცა „ლიონის“ მეკარე ვერკუტრემ პიცლშპერგერის დარტყმა მოიგერია.

„შტუტგარტმა“ ლიგის ოთხ მატჩში ქულაც კი ვერ აიღო, რაც გერმანული კლუბის კრიზისზე მოწმობს. ხოლო „ლიონმა“ პირველი ორი მარცხის შემდეგ უკვე მიჯრით მეორე თამაში მოიგო არმინ ფეეს გუნდთან და მერვედფინალში გასვლის შანსიც შეინარჩუნა. მოგახსენებთ, რომ „ლიონს“ ლიგის ამ ეტაპისთვის 2002-03 წლების სეზონის მერე არ მიუღწევია.

პირველ ტაიმში გალებმა ჟუნინიოს მეთაურობით შესანიშნავად ითამაშეს. ბრაზილიელის პასებმა და ბენ არფას სიზუსტეს „შტუტგარტი“ შავ დღეში ჩააგდო.

ბენ არფამ თავისი პირველი გოლი მე-6 წუთზე შეაგდო, როცა „ლიონის“ ოთხსვლიანი კომბინაცია დააგვირგვინა. შემდეგ კიმ კალსტრიომმა დაამწუხრა უძლიერესი დარტყმით მეკარე შეფერი. მარიო გომესმა შვედის გოლიდან ერთ წუთში გაიტანა, მაგრამ მაშინ „სტად ჟერლანის“ ბატონ-პატრონი უკვე ფრანგები იყვნენ.

მასპინძლებს იერიშები არ შეუწყვეტიათ და ბენ არფას ინდივიდუალურმა ოსტატობამ და გოლმა ფრანგულ არენას 37-ე წუთზეც აკისრებინა ოვაციები.

მეორე ტაიმის დასაწყისში გომესმა ბეკის პასი გამოიყენა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა. მერე „შტუტგარტს“ გათანაბრებაც შეეძლო, თუმცა ვერკუტრემ პენალტის მოგერიება მოახერხა. ჟუნინიომ კი დამატებით დროში კლერკის პასით გაიტანა.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 0 | 7:0 | 10 |
| რეინჯერსი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ლიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:8 | 6 |
| შტუტგარტი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:10 | 0 |

**V ტური, 27 ნოემბერი**
**შტუტგარტი — რეინჯერსი**
**ლიონი — ბარსელონა**

# ყველი და პური

**F ჯგუფი**

**მანჩესტერი 4:0 დინამო**
1:0 პიკე (31), 2:0 ტევესი (37), 3:0 რუნი (76), 4:0 რონალდუ (88)
**მანჩესტერი:** ვან დერ სარი (კუშჩაკი 46), პიკე (ევანსი 73), სიმპსონი, ვიდიჩი, ევრა, რონალდუ, კარიკი, ფლეტჩერი, ნანი, რუნი, ტევესი (საა 68)
**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი
**დინამო:** შოვკოვსკი, ფიოდოროვი, დიაკიტე, ვაშჩუკი, ელ კადური, მარკოვიჩი, გიოანე, კორეა, როტანი (რებროვი 46), ო. გუსევი (რინკონი 46), მილევსკი (ბანგურა 80)
**მწვრთნელი:** ოლეგ ლუჟნი
**გაფრთხილება:** რუნი, დიაკიტე, კორეა
**მსაჯი:** იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
73 000 მაყურებელი

„მანჩესტერმა“ ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო, რაც საუკეთესო შედეგია გუნდისა და ჩემპიონთა ლიგის ბოლო ხუთი სეზონისა. „მანჩესტერმა“ მერვედფინალიც გაინაღდა.

უეინ რუნი და კარლოს ტევესი ისე არიან, როგორც ყველი და პური. მეორე გოლისას ისეთი კომბინაცია გაითამაშეს, დახატული გეგონებოდათ — წკაპ-წკუპ და, ბურთი კარშია.

ალექს ფერგიუსონმაც ბიჭებს გარჯა არ დაუკარგა და რონალდუ, რუნი და ტევესი აქო და ადიდა.

„ეს ბიჭები ნებისმიერ დაცვას აარღვევენ — თქვა მწვრთნელმა — „დინამომ“ სამი ცენტრალური მცველი დაგვიყენა, მაგრამ გასალები მათაც მოვუძებნეთ.“

კრიშტიანუ რონალდუმ მარჯვნიდან საჯარიმო ჩააწოდა, პიკემ კი თავით გაიტანა. მერე ტევესმა რუნისთან კედელი გაითამაშა და სხვაობა ორამდე გაზარდა.

მეორე ტაიმში ნანიმ ბურთი ფეხზე დაასვა საჯარიმოში შესულ რუნის, რომელმაც ერთი შეხებით მესამე შეაგდო, ხოლო რონალდუმ ფინტით „გააუქმა“ მცველი და ბურთი მარცხენა კუთხეში ჩააბზრიალა.

ბოლო ექვსი მატჩიდან ხუთში „მანჩესტერმა“ ოთხ-ოთხი გოლი გაიტანა და ამჟამად საუცხოო ფორმაშია. უეინ რუნი კი „დინამოს“ უსახურ ფეხბურთს გაუბრაზებია: „მათ თამაში არ სურდათ. რაღაც ვარჯიშისმაგვარი გამოუვიდათ. ასეთ ფეხბურთს ვერ ვიტან, როცა მეტოქე დაცვაში იკეტება. მაგრამ ჩვენ მაინც მოვიგეთ.“

კიეველთა დროებითმა მწვრთნელმა ოლეგ ლუჟნიმ მატჩამდე თქვა, არ უნდა შევრცხვეთო, მაგრამ მორიგი სირცხვილი ვერ აიცილა. „მანჩესტერმა“ სტუმრადაც ოთხი გაუტანა და შინაც.

„ჩვენ უდისციპლინოდ, არაორგანიზებულად ვითამაშეთ და მეტოქეს მეტის გატანაც შეეძლო“ — დაიჩივლა ლუჟნიმ.

**სპორტინგი 2:2 რომა**
0:1 კასეტი (4), 1:1, 2:1 ლიდსონი (22, 64), 2:2 ანდერსონ პოლგა (89ს.კ.)
**სპორტინგი:** ტიაგო, აბელი, რონი, ანდერსონ პოლგა, ტონელი, იზმაილოვი (პერეირინია 89), ველოზო, მუტინიუ, რომანიოლი, დიალო (ვუკჩევიჩი 63), ლიდსონი
**მწვრთნელი:** პაულუ ბენტუ
**რომა:** დონი, სისინიო, მექსეში (ფერარი 46), ჟუანი, კასეტი, დე როსი, დ. პიზარო, მანსინი, პეროტა (ესპოზიტო 80), ჟული (ბრიგი 90), ვუჩინიჩი
**მწვრთნელი:** ლუჩანო სპალეტი
**გაფრთხილება:** სისინიო, ვუჩინიჩი, კასეტი, აბეი, პეროტა, ველოზო
**მსაჯი:** ფრანკ დე ბლეკერი (ბელგია)
35 000 მაყურებელი

**გაოგნებული** იყო მასპინძელთა მცველი ანდერსონ პოლგა, რომელმაც დახლოებით საპენალტე ნიშნულიდან საკუთარ კარში ულამაზესი თავური გაიტანა. „რომას“ ჩილელმა დავიდ პიზარომ საჯარიმოში ჩააწოდა, პოლგა მოსაგერიებლად ახტა, მაგრამ ბურთი ცხრიანში შეაგდო. ეს ბოლოსწინა წუთზე მოხდა და „სპორტინგს“ დროც აღარ ჰქონდა მესამის გასატანად, რაც სამ ქულას მოუტანდა და „რომას“ გაუთანაბრდებოდა.

სტუმრები მარკო კასეტიმ ადრიანად დააწინაურა: საჯარიმოში მარცხნიდან შევიდა და უძლიერესი დარტყმით მეკარე უშანსოდ დატოვა.

მეოცე წუთზე კი „სპორტინგს“ გოლი არ ჩაუთვალეს. დონიმ აბელის დარტყმული მოიგერია, მაგრამ ბურთი ხელიდან გაუვარდა და კარში შეგორდა, მსაჯმა კი შენიშნა, რომ მეკარისთვის ხელებში ფეხი წაუკრიათ. ორი წუთის მერე „რომას“ მეკარე და მცველი შეცდნენ, რითაც ლიდსონმა ისარგებლა და ცარიელ კარში შეაგდო. მეორე ტაიმში მანვე თავურით გაიტანა და „სპორტინგი“ წინ გაიყვანა. თუმცა პოლგას უკულმართმა დარტყმამ ლისაბონელებს სამი ქულა ერთად უქცია.

„იღბალმა გვიგანა — თქვა „სპორტინგის“ გაწბილებულმა მწვრთნელმა პაულუ ბენტუმ — ჩვენ გავუშვით გოლი, რომლის აცილებაც იოლად შეიძლებოდა. თამაშს ვაკონტროლებდით და „რომას“ შანსს არ ვაძლევდით, მაგრამ სამწუხაროდ, მოგება არ გვეწერა.“

„ჩემი აზრით, ფრე დავიმსახურეთ — განაცხადა სტუმართა თავკაცმა ლუჩანო სპალეტიმ — თუ გავითვალისწინებთ, რომ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა, კარგ შედეგს მივაღწიეთ.“

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 12 |
| რომა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| სპორტინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| დინამო | 4 | 0 | 0 | 4 | 3:12 | 0 |

**V ტური, 27 ნოემბერი**
**დინამო — რომა**
**მანჩესტერი — სპორტინგი**

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## ჯგუფური ეტაპი. მეოთხე ტური


თეო უოლკოტის „არსენალი“ ჯგუფიდან გავიდა

# ვენგერის საიუბილეო ნულები

### H ჯგუფი

**სტიაუა 0:2 სევილია**

0:1, 0:2 რენატო (25, 65)

**სტიაუა:** საპატა, ნესუ, გოიანი, რადა, ემეგარა, ო. პეტრე, ნიკოლიტა, ლოვინი, კროიტორუ (ბადეა 46), დიკა, იაკობი (სურდუ 62)

**მწვრთნელი:** მარიუშ ლეკეტუში

**სევილია:** პალოპი, დანი ალვეში, დრაგუტინოვიჩი, მოსკერა, რენატო, ადრიანუ, ხესუს ნავასი (ჰინკელი 89), პოულსენი, დე მული (კაპელი 63), ს. კეიტა, კანუტი (ლუიშ ფაბიანო 69)

**მწვრთნელი:** მანუელ ხიმენესი

**გაფრთხილება:** ემეგარა, კანუტი, ადრიანუ, რადა

**მსაჯი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

20 000 მაყურებელი

**ბრაზილიელმა** ნახევარმცველმა რენატომ ბუქარესტში დუბლი შეასრულა და „სტიაუამ“ ჯგუფში მეოთხე მატჩიც წააგო. „სევილიამ“ კი, პირველ ტურში „არსენალთან“ მარცხის შემდეგ, მიჯრით სამი მოიგო და მერვედფინალამდე ცოტაღა უკლია.

ესპანელები მთელი მატჩი უკეთესად თამაშობდნენ და მეტოქე აშკარად დაჯაბნეს.

„დუბლი გადასარევია — თქვა რენატომ „მარკასთან“ ინტერვიუში — მთლიანობაშიც, ყველამ კარგად ვითამაშეთ და მერვედფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადავდგით.“

„სევილიას“ ახალი მწვრთნელის მანოლო ხიმენესის დებიუტი ჩემპიონთა ლიგაში ხეირიანი გამოდგა.

„თავიდან ცოტა ვნერვიულობდით, მაგრამ მერე ბიჭები დალაგდნენ და დავალება ფრიადზე შეასრულეს. პირველ ტაიმში მეტის გატანაც შეგვეძლო“ — თქვა ხიმენესმა.

კუთხურს მოყოლებული კრისტიან პოულსენის თავური მეკარემ მოიგერია, რენატომ კი დაამატა და ანგარიში გახსნა, ხოლო მეორე გოლი ოთხპასიანი კოხტა კომბინაციის შედეგად გავიდა — ბრაზილიელმა თავით გაიტანა.

„ჩემს გუნდს გამარჯვება სურდა და ცდა არ დააკლო, მაგრამ კლასში სხვაობა აშკარა იყო — თქვა „სტიაუას“ მწვრთნელმა მარიუშ ლეკეტუშმა — როცა „სევილიას“ დარ მეტოქეს ეთამაშები, იცი, რომ შეცდომას არ გაპატიებს.“

„სტიაუას“ სტადიონზე ძალიან ცოტა მაყურებელი იყო, რადგან ქომაგთა უმრავლესობამ ბოიკოტი გამოაცხადა, რაკიღა კლუბის პრეზიდენტმა ჯიჯი ბეკალიმ ფანთა ჯილა გეორგე ჰაჯი მოხსნა. ჰაჯი მასიმო პედრაძინიმ შეცვალა, პედრაძინის კი ოქტომბრის ბოლოს მარიუშ ლეკეტუში ჩაენაცვლა.

**სლავია 0:0 არსენალი**

**სლავია:** ვორელი, ტავარეში, ბრაბეცი, ჰუბაჩეკი, დრიჟდალი, შვეცი, შმიცერი (კალივოდა 64), პუდილი (იაბლონსკი 90), სუხი, კრაიჩიკი, სენკერიკი (ივანა 77)

**მწვრთნელი:** კარელ იაროლიმი

**არსენალი:** ალმუნია, ლ. დიარა, გალასი, სონგი, კლიჩი, დიაბი, დენილსონი, ჟილბერტო სილვა, უოლკოტი, ედუარდო (ებუე 81), ბენდტნერი (ადებაიორი 77)

**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი

**გაფრთხილება:** ტავარეში, შვეცი, დიარა, კრაიჩიკი, დენილსონი, პუდილი

**მსაჯი:** ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი)

17 000 მაყურებელი

**„არსენალმა“** მერვედფინალი ფრით კი გაინაღდა, მაგრამ არსენ ვენგერს ჯგუფში პირველი ადგილიც სურს, რათა წილისყრისას შედარებით იოლი მეტოქე შეხვდეს. „მეთოფეებს“ ათი ქულა აქვთ და „სევილიას“ ერთით უსწრებენ. მომდევნო ტურში „არსენალი“ ესპანელებს ეწვევა და ფრანგი მწვრთნელი იქ მოგებას აპირებს: „ჩვენ ორი მატჩი დაგვრჩა. ჯგუფიდან კი გავედით, მაგრამ პირველი ადგილი მნიშვნელოვანია და ამიტომ „სევილიასთან“ სტუმრად სამი ქულისთვის ვიბრძოლებთ.“

ორი კვირის წინ ლონდონელებმა „სლავიას“ შინ 7:0 მოუგეს, ამჯერად კი ვენგერმა რვა ფეხბურთელი დაასვენა და ამის გამო გუნდმა ისე შთამბეჭდავად ვეღარ ითამაშა. თუმცა ისიც არის, რომ წაუგებელი სერია 26-მდე გაზარდა. ეს ფრანგი თავკაცის მე-100 მატჩიც იყო ჩემპიონთა ლიგაში.

ვენგერმა ესეც თქვა: „ახალგაზრდებს ვერ დავადანაშაულებ. ვერ მოიგეს, მაგრამ გამოცდილება მიიღეს. მეტოქე დაცვაში კარგად იდგა, რადგან 0:7-ის მერე განსაკუთრებით ფრთხილობდნენ. შედეგით მაინც კმაყოფილი ვარ, რაკი ჩვენც ვერ გავიტანეს და მერვედფინალის საგზურიც ჩავიჯიბეთ.“

ეს იყო ამ სეზონში „არსენალის“ პირველი მატჩი, რომელშიც გუნდმა გოლი ვერ შეაგდო.

„მეთოფეებმა“ კარში მხოლოდ ერთხელ დაარტყეს — შეცვლაზე შესულ ემანუელ ადებაიორს ლიგის დებიუტანტმა მეკარემ მიხალ ვორელმა აუღო.

**მაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:0 | 10 |
| სევილია | 4 | 3 | 0 | 1 | 8:6 | 9 |
| სლავია | 4 | 1 | 1 | 2 | 4:12 | 4 |
| სტიაუა | 4 | 0 | 0 | 4 | 2:7 | 0 |

**V ტური, 27 ნოემბერი**

**სევილია — არსენალი**

**სტიაუა — სლავია**

# ცუდად დაწყებული კარგი

### G ჯგუფი

**ინტერი 4:2 ცსკა**

0:1 ჟო (23), 0:2 ვაგნერ ლავე (31), 1:2 იბრაჰიმოვიჩი (32), 2:2, 3:2 კამბიასო (34, 67), 4:2 იბრაჰიმოვიჩი (75)

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, სამუელი, კივუ, ძანეტი, კამბიასო, დაკური, მაქსველი (სოლარი 66), კრესპო (კრუზი 63), იბრაჰიმოვიჩი (სუაზო 84)

**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი

**ცსკა:** აკინფეევი, ვ. ბერეზუცკი (ედუარდო 70), გრიგორიევი, ა. ბერეზუცკი, დანი კარვალიუ, კრასიჩი, რახიმიჩი, დუდუ (ტარანოვი 83), ჟირკოვი, ჟო (ალდონინი 46), ვაგნერ ლავი

**მწვრთნელი:** ვალერი გაზაევი

**გაფრთხილება:** რახიმიჩი, დუდუ, ვ. ბერეზუცკი, ჟირკოვი, დაკური

**მსაჯი:** პოლ ალერტი (ბელგია)

40 000 მაყურებელი

**ტრავმების** გამო ნახევარდაცვაში პრობლემების მქონე „ინტერმა“ მატჩი არადამაჯერებლად დაიწყო. ამის შემხედვარე ცსკა თავიდანვე გააქტიურდა და ამას 23-ე წუთზე გოლიც მოჰყვა — ბრაზილიელმა ჟომ ბურთი „ნერაძურის“ საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო და ძლიერი დარტყმით უშანსოდ დატოვა ჟულიო სეზარი.

„არმიელებს“ ანგარიშის შენარჩუნებაზე თამაში არ დაუწყიათ და შეტევები გააგრძელეს, რისთვისაც 31-ე წუთზე დაჯილდოვდნენ — ჟოს თანამემამულემ ვაგნერ ლავემ ერთი მოძრაობით გააბითურა ოლივიე დაკური და ივან კორდობა, რასაც უზადო დარტყმა მიაყოლა.

ამის შემხედვარე ძნელად თუ ივარაუდებდა ვინმე იმას, რაც მერე მოხდა. გავიდა რამდენიმე წამი, კრისტიან კივუმ ჯარიმა ჩააწოდა და ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ახლოდან ჩინებულად დაარტყა. აქედან ორ წუთში ერნან კრესპომ ჭკვიანურად გაატარა დუგლას მაიკონის პასი, ბურთი ესტებან კამბიასოს მიუვიდა, არგენტინელმაც ყველაფერი კარგად გააკეთა და 2:2.

ბუნებრივია, ამის მერე უპირატესობა „ინტერის“ ხელში გადავიდა და 67-ე წუთზე ისევ კამბიასომ იხეირა — მილანელებმა კუთხური ჩააწოდეს, ხულიო რიკარდო კრუზმა საოცარი ქუსლური პასი გააკეთა და კამბიასოსაც ახლოდან გატანა აღარ გასჭირვებია.

75-ე წუთზე კი მატჩის ბოლო და ყველაზე ლამაზი გოლი გავიდა — იბრაჰიმოვიჩმა ორთაშუა გაიგდო ბურთი და უძლიერესი, ულამაზესი დარტყმით ჩაჭედა იგი იგორ აკინფეევისგან მარცხენა მაღალ ცხრიანში.

„ვფიქრობ, ძალიან სანახაობრივი მატჩი იყო. სამწუხაროდ, არცთუ ბევრი მაყურებელი მოვიდა და ფეხბურთელებიც თავიდან სათანადოდ ვერ მოეკიდნენ შეხვედრას. მეორე გაშვებულმა გოლმა გამოგვაღვიძა. მიიღებს თუ არა ზლატან იბრაჰიმოვიჩი „ოქროს ბურთს“? არ ვიცი, ამ სეზონში ამას შეძლებს თუ არა, მაგრამ მჯერა, რომ კარიერის მანძილზე „ოქროს ბურთს“ არაერთხელ დაიმსახურებს. დღეს იგი ბრწყინვალე იყო და მეორე გოლი საოცარი გამოვიდა“ — თქვა „ინტერის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ.

ესტებან კამბიასო: „ფორვარდი, რომელიც ამდენს იშრომებს და მერე მზად არის, ბურთი ნახევარმცველს დაუთმოს... ეს კრესპოზე ძალიან კარგად მეტყველებს. მან ჩემი ხმა გაიგო, პასი მომცა და ლამაზი გოლიც გავიტანეთ. თავიდან ცუდად დავიწყეთ, თამაშს ცსკა აკონტროლებდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ხასიათი გამოვავლინეთ და დამსახურებულად მოვიგეთ“.

„ვულოცავ „ინტერს“ დამსახურებულ გამარჯვებას. ჩვენ პირველი ტაიმი არცთუ ცუდად ჩავატარეთ, მეორე ნახევარში კი ცუდად გამოვიყურებოდით. ტრავმებმაც შეგვიშალა ხელი, მაგრამ დაშავებულები მილანელებსაც ჰყავდათ და ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა ჩემი სიტყვებით იტალიური ფეხბურთის უმაღლესი კლასი. „ნერაძურის“, ფაქტობრივად, ორი შემადგენლობა ჰყავს, იტალიის ჩემპიონია და ბრწყინვალედ თამაშობს. „მილანი“ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულია. იტალიის ნაკრები კი 2006 წლის მუნდიალის ტრიუმფატორი“ — აღნიშნა მოსკოველთა თავკაცმა ვალერი გაზაევმა.

**ფენერბაჰჩე 2:0 პსვ**

1:0 მარსელისი (28ს.გ.), 2:0 სემიჰი (30)

**ფენერბაჰჩე:** ვოლქანი, გოხანი (ონდერი 88), ედუ დრაჩენა, იასინი, რ. კარლოსი, ვედერსონი, მეჰმეთი, ალექსი (ბილგინი 72), დენიზ ბარიში, კაზიმ-რიჩარდსი (აპია 86), სემიჰი

**მწვრთნელი:** ზიკო

**პსვ:** გომეში, კრომკამპი (ზონეველდი 46), სალსიდო, ალსიდესი, მარსელისი, სიმონსი, მენდესი, ვან დერ ლეგტე (ბაკალი 81), ლაზოვიჩი, პერესი (კუვერმანსი 63), ფარფანი

**მწვრთნელი:** იან ვოუტერსი

**გაფრთხილება:** სალსიდო

**მსაჯი:** ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

45 000 მაყურებელი

თურქებმა პირველი ტაიმის დაახლოებით ორწუთიან მონაკვეთში მოუმთავრეს საქმე ეინდჰოვენელებს. 28-ე წუთზე დირკ მარსელისმა კაზიმ-რიჩარდსის კროსისას ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, 30-ეზე კი ალექსის პასით სემიჰ შენთურქმა იხეირა და 2:0.

იან ვოუტერსის პსვ-ს რამე ხეირიანის გაკეთების შანსი, ფაქტობრივად, არ ჰქონია. თუმცა ეს დიდწილად თავად ეინდჰოვენელთა ბრალიცაა.

ზიკოს „ფენერბაჰჩე“ კი მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება ლიდერ „ინტერს“ და თუ მცირე სასწაული არ მოხდა, ამ ჯგუფიდან მერვედფინალში ალბათ სწორედ ეს ორი გუნდი გავა.

„ჩემმა გუნდმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რათა მოგვეგო. დიდი მადლობა ბიჭებს თავდადების, შემართების, საბრძოლო სულისა და ხასიათის გამოვლენისთვის. ჭკვიანურად ვითამაშეთ და სამართლიანად მოვიგეთ“ — თქვა ზიკომ.

იან ვოუტერსი: „ამ სტადიონზე თამაში ძალიან ძნელია, თურქი ქომაგები ერთი წუთითაც არ გაჩერებულან. თითქოს კარგად დავიწყეთ, მაგრამ მერე ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით. სამწუხაროდ, მერვედფინალში გასვლის დიდი შანსები აღარ გვაქვს. ასე რომ, მესამე ადგილი და უეფას თასზე გადასვლის უფლება მაინც არ დავკარგოთ“.

**გიორგი ძაძამიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| ფენერბაჰჩე | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| პსვ | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| ცსკა | 4 | 0 | 1 | 3 | 6:10 | 1 |

**V ტური, 27 ნოემბერი**

**ცსკა — პსვ**

**ინტერი — ფენერბაჰჩე**



არც ისე შორსაა ის დღე, როდესაც სამუელ ეტოო ტრავმას მოიშუშებს და მოედანს დაუბრუნდება. „ბარსელონას“ კამერუნელმა ეს ეგებ დეკემბრის დასაწყისში, „ესპანიოლთან“ მატჩისას მოახერხოს.

ეტოოს კატალონიური „სპორტი“ გაესაუბრა...



# ვინ რისთვის აღებს პირს

## სამუელ ეტოოს ბარსელონური მიმოხილვა

— აფრიკის თასთან დაკავშირებით თუ არის რაიმე სიახლე?

— რაც მე მინდა, ეს ფეხბურთის თამაშია. ჯერ არ ვიცი, ფეხბურთს „ბარსას“ მაისურით დავუბრუნდები, თუ კამერუნის ნაკრების ფორმით. საითაც მეტყვიან, იქ წავალ, არჩევით მე არ ვირჩევ. „ბარსას“ და კამერუნის ეროვნული გუნდის თავკაცობა ერთმანეთს უნდა შეხვდეს და გადაწყვეტილება მიიღონ.

**— ძალიან განიცდით, როცა მატჩების ნახვა ტრიბუნიდან გიწევთ?**

— არც ისე, რადგანაც „კამპ ნოუზე“ ჩვენები საკმაოდ კარგად თამაშობენ. ადვილად, ზედმეტი სირთულეების გარეშე ვიგებთ.

**— და გასვლითი შეხვედრები?**

— ამ შემთხვევაში მართლაც შედარებით მეტი ნერვიულობა მიწევს. არ ვიცი, სტუმრად ჩატარებული მატჩებისას რა გვემართება. ყველამ უნდა მოვინდომოთ და ამ პრობლემასაც გამოვასწორებთ.

**— რონალდინიო სეზონის დასაწყისში მწვავე კრიტიკის ობიექტი გახდა. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?**

— ჩემთვის რონალდინიო იყო და რჩება ბოლო წლების მსოფლიოს საუკეთესოდ. მაგრამ უკვე ვიცით, რომ ფეხბურთში ასეთი რამეებიც ხდება — როცა საქმე კარგად არ გამოგდის, გაკრიტიკებენ. ჩემი აზრით, სისულელეა, როცა ფეხბურთელს თითო-ოროლა ჩაგდებული მატჩის გამო საყვედურობენ.

**— რატომ ამბობთ, რომ რონალდინიო ისევ ყველაზე საუკეთესოა?**

— იმიტომ, რომ ისევ საუკეთესოა, ოღონდ ახლა უკვე სხვა მანერით. დღევანდელი რონი იმ ფეხბურთელისგან განსხვავდება, რომელმაც 4 სეზონის წინ ყველა თავისი ბრწყინვალებით გააოგნა.

**— ამ ცვლილებაში რას გულისხმობთ?**

— სადღეისოდ რონალდინიოს ვერ მოვთხოვთ ადრინდელივით 9 მეტოქეს მარტო შეებრძოლოს, რადგანაც მოწინააღმდეგეებმა მისი თამაში შეისწავლეს და ფიზიკური მეთვალყურეობა დაუწესეს. თუმცა რონიმ სხვა რაღაცები გააუმჯობესა — მაგალითად, ორი-სამი მეტოქის თავისკენ გატყუება, რათა „ბარსას“ სხვა შემტევებს თავისუფალი სივრცე შეუქმნას, ან საჯარიმო დარტყმების სწორუპოვრად შესრულება. ამიტომაც ჩვენთვის რონალდინიო იყო, არის და რჩება მნიშვნელოვან ფეხბურთელად. გუნდი „ახალ რონის“ ჯეროვნად აფასებს.

| 17:00 | 421 | ხანდერილანდი-ოლსტიკე | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| 17:00 | 422 | ფრედერისია-ჰვიდოვრე | 1.30 | 4.70 | 8.50 | 1.01 | 1.12 | 3.02 |
| 17:00 | 423 | ჰერფოლგე-სილკებორგი | 3.10 | 3.30 | 2.10 | 1.59 | 1.25 | 1.28 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 424 | ბრეი-სლიგო | 1.80 | 3.00 | 4.30 | 1.12 | 1.26 | 1.76 |
| 23:45 | 425 | სტ.პატრიკსი-დროგედა | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 23:45 | 426 | გოლვეი-დუბლინი | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 23:45 | 427 | კორკი-ბოჰემიანი | 1.95 | 3.10 | 3.60 | 1.19 | 1.26 | 1.66 |
| 23:45 | 428 | შემროკი-უოტერფორდი | 2.40 | 3.00 | 2.70 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 23:45 | 429 | ლონგფორდი-დერი | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| | | იაპონია | | | | | | |
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 14:00 | 430 | ნაგოია-ოიტა | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 11:00 | 432 | ნიიგატა-ტოკიო | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 11:00 | 433 | იოკოჰამა-კაშიმა | 3.10 | 3.20 | 2.05 | 1.57 | 1.23 | 1.24 |
| 11:00 | 435 | კაშივა-იოკოჰამა | 1.25 | 4.80 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.06 |
| 11:00 | 437 | კობე-კოფუ | 1.50 | 3.50 | 5.75 | 1.04 | 1.18 | 2.17 |
| 11:00 | 438 | გამბა-ომიარა | 1.40 | 3.80 | 6.00 | 1.02 | 1.13 | 2.32 |
| | | 11 ნოემბერი | | | | | | |
| 08:00 | 431 | შიმიცუ-ჰიროსიმა | 1.35 | 4.20 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.55 |
| 11:00 | 434 | კავასაკი-ურავა | 3.20 | 3.20 | 2.00 | 1.60 | 1.23 | 1.23 |
| 11:00 | 436 | ომია-ოიტა | 2.10 | 3.20 | 2.95 | 1.26 | 1.22 | 1.53 |
| | | არგენტინა | | | | | | |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 448 | ხიმნასია ლპ-რასინგი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 23:45 | 455 | როსარიო-ლანუსი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 451 | კოლონი-სან ლორენსო | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 23:45 | 452 | ოლიმპო-ნიუელსი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 23:45 | 453 | ბანფილდი-ხიმნასია ჟ | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| | | 11 ნოემბერი | | | | | | |
| 22:00 | 449 | ინდეპენდიენტე-ესტუდიანტესი | 1.70 | 3.20 | 4.70 | 1.11 | 1.24 | 1.90 |
| 23:45 | 450 | ურაკანი-რივერ პლეიტი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 22:00 | 454 | ტიგრე-სან მარტინი | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 456 | არგენტინოს ხუნიორსი-არსენალი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 23:45 | 457 | ბოკა ხუნიორსი-ველესი | 1.55 | 3.40 | 5.80 | 1.06 | 1.22 | 2.14 |
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 656 | ჰერეფორდი-ლიდსი | 5.20 | 3.40 | 1.55 | 2.05 | 1.19 | 1.06 |
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 657 | აკრინგტონი-ჰადერსფილდი | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 19:00 | 658 | ალტრინჩემი-მილუოლი | 5.20 | 3.40 | 1.55 | 2.05 | 1.19 | 1.06 |
| 19:00 | 659 | ბარნეტი-ჯილინგემი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 19:00 | 660 | ბრედფორდი-ჩესტერი | 2.45 | 3.25 | 2.45 | 1.39 | 1.22 | 1.39 |
| 19:00 | 661 | კარლაილი-გრიმსბი | 1.35 | 3.90 | 7.20 | 1.00 | 1.13 | 2.52 |
| 19:00 | 662 | ბერი-უორკინგტონი | 1.45 | 3.45 | 6.70 | 1.02 | 1.19 | 2.27 |
| 19:00 | 663 | ჩელტენემი-ბრაიტონი | 2.55 | 3.25 | 2.35 | 1.42 | 1.22 | 1.36 |
| 19:00 | 664 | ჩესტერფილდი-ტრანმერი | 2.65 | 3.20 | 2.30 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| 19:00 | 665 | ქროუ-დონსი | 2.25 | 3.25 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.47 |
| 19:00 | 666 | დარლინგტონი-ნორთჰემპტონი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 19:00 | 668 | ლეიტონი-როვერსი | 1.65 | 3.40 | 4.40 | 1.11 | 1.20 | 1.91 |
| 19:00 | 669 | ლინკოლნი-ნოტინგემი | 5.45 | 3.60 | 1.50 | 2.16 | 1.17 | 1.05 |
| 19:00 | 670 | ლუტონი-ბრენტფორდი | 1.55 | 3.45 | 5.20 | 1.06 | 1.19 | 2.07 |
| 19:00 | 671 | მორიკომბი-პორტ ვეილი | 2.45 | 3.25 | 2.45 | 1.39 | 1.22 | 1.39 |
| 19:00 | 672 | ნოტსი-ჰისტონი | 1.55 | 3.45 | 5.20 | 1.06 | 1.19 | 2.07 |
| 19:00 | 673 | ოლდემი-დონკასტერი | 2.45 | 3.25 | 2.45 | 1.39 | 1.22 | 1.39 |
| 19:00 | 674 | ოქსფორდი-ნორთვიჩი | 1.35 | 3.80 | 7.20 | 1.00 | 1.13 | 2.48 |
| 19:00 | 675 | პიტერბრო-რექსემი | 1.35 | 3.90 | 7.20 | 1.00 | 1.13 | 2.52 |
| 19:00 | 676 | რაშდენი-მაკლსფილდი | 2.55 | 3.25 | 2.35 | 1.42 | 1.22 | 1.36 |
| 19:00 | 677 | საუთენდი-როჩდეილი | 1.50 | 3.60 | 5.45 | 1.05 | 1.17 | 2.16 |
| 19:00 | 679 | უოლსოლი-შრუსბერი | 1.60 | 3.35 | 4.90 | 1.08 | 1.20 | 1.98 |
| 19:00 | 680 | უიკომბი-სუინდონი | 2.45 | 3.25 | 2.45 | 1.39 | 1.22 | 1.39 |
| 19:00 | 681 | ბეროუ-ბორნმუთი | 4.70 | 3.45 | 1.60 | 1.98 | 1.19 | 1.09 |
| 19:00 | 682 | კემბრიჯი-ალდერშოტი | 2.25 | 3.25 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.47 |
| 19:00 | 683 | ექსეტერი-სტივენიჯი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 19:00 | 684 | ისტბორნი-უეიმუთი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 19:00 | 686 | ჰალიფაქსი-ბარტონი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 19:00 | 687 | მენსფილდი-ლუისი | 1.45 | 3.70 | 5.90 | 1.04 | 1.16 | 2.27 |
| | | 11 ნოემბერი | | | | | | |
| 18:00 | 667 | გეინსბორო-ჰარტლპული | 5.90 | 3.70 | 1.45 | 2.27 | 1.16 | 1.04 |
| 19:00 | 678 | ტორკი-იოვილი | 2.70 | 3.25 | 2.25 | 1.47 | 1.22 | 1.32 |
| 19:00 | 685 | ფორესტ გრინი-როტერჰემი | 2.80 | 3.25 | 2.15 | 1.50 | 1.21 | 1.29 |
| | | ნორვეგია. თასი | | | | | | |
| | | 11 ნოემბერი | | | | | | |
| 16:00 | 688 | ჰაუგესუნდი-ლილესტრომი | 8.00 | 4.10 | 1.30 | 2.71 | 1.11 | 1.00 |
| | | ფინეთი. თასი | | | | | | |
| | | 11 ნოემბერი | | | | | | |
| 17:00 | 479 | ჰონკა-ტამპერე | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15145 | შალკე-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15146 | ვერდერი-კარლსრუე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15147 | დორტმუნდი-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15148 | ჰერტა-ჰანოვერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15149 | არმინია-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15150 | ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15151 | ჰანზა-კოტბუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15152 | დუისბურგი-ბოხუმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15153 | შტუტგარტი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15155 | ალემანია-კაიზერსლაუტერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15156 | ფიურტი-ფრაიბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15157 | მიუნხენი 1860-მიონხენგლადბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15158 | კიოლნი-აუე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15159 | კობლენცი-პადერბორნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15160 | კარლ ცაისი-ჰოფენჰაიმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15161 | ოფენბახი-ვეენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15162 | სტ.პაული-აუგსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15163 | მაინცი-ოსნაბრიუკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15182 | რიდი-შტურმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15183 | ლინცერი-ზალცბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15184 | ავსტრია კერნტენი-ავსტრია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15186 | რაპიდი-მატერსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15187 | ალტახი-ტიროლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15296 | ბრიუსელი-დენდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15297 | გენკი-შარლერუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15298 | გენტი-მეხელენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15299 | ბეერსხოტი-ანდერლეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15300 | რუზელარე-მონსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15301 | სტანდარდი-ლოკერენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15303 | ვესტერლო-სტ.ტრუიდენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15304 | ვარეგემი-მუსკრონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15305 | ხერკლი-ბრიუგე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15313 | ნაიმეგენი-ჰერაკლესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15314 | ტილბურგი-უტრეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15315 | ტვენტე-ბრედა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15316 | გრააფსხაპი-ექსელსიორი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15317 | ვენლო-სპარტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15318 | ფეიენოორდი-აიაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15319 | პსვ-ალკმაარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15321 | ვიტესი-ჰერენვენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15322 | როდა-გრონინგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15323 | ვეენდამი-ტელსტარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15324 | ჰაარლემი-ვალვაიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15325 | ვოლენდამი-ემენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15326 | ჰელმონდი-ომნივორლდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15327 | მაასტრიხტი-იგლზი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15328 | ზვოლე-კამბური | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15329 | აპელდორნი-ოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15330 | სიტარდი-დორდრეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15331 | როზენდაალი-ეინდჰოვენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15332 | დენ ბოსხი-დენ ჰააგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15333 | ბელენენსეში-ლეიშოეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15336 | ამადორა-პორტუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15338 | გიმარაეში-ფეირენსე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15339 | ნასიონალი-მარიტიმუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15340 | ნავალი-ლეირია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15341 | ბრაგა-სპორტინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15343 | სეტუბალი-აკადემიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14145 | შალკე-ჰამბურგი | 1.80 | 2.00 |
| 14146 | ვერდერი-კარლსრუე | 1.20 | 2.60 |
| 14147 | დორტმუნდი-აინტრახტი | 1.65 | 2.30 |
| 14148 | ჰერტა-ჰანოვერი | 1.75 | 2.10 |
| 14149 | არმინია-ნიურნბერგი | 1.80 | 2.00 |
| 14150 | ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 1.80 | 2.00 |
| 14151 | ჰანზა-კოტბუსი | 1.75 | 2.10 |
| 14152 | დუისბურგი-ბოხუმი | 1.80 | 2.00 |
| 14153 | შტუტგარტი-ბაიერნი | 2.40 | 1.45 |
| 14155 | ალემანია-კაიზერსლაუტერნი | 1.45 | 2.40 |
| 14156 | ფიურტი-ფრაიბურგი | 1.85 | 1.95 |
| 14157 | მიუნხენი 1860-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 14158 | კიოლნი-აუე | 1.20 | 2.60 |
| 14159 | კობლენცი-პადერბორნი | 1.45 | 2.40 |
| 14160 | კარლ ცაისი-ჰოფენჰაიმი | 2.20 | 1.70 |
| 14161 | ოფენბახი-ვეენი | 1.80 | 2.00 |
| 14162 | სტ.პაული-აუგსბურგი | 1.75 | 2.10 |
| 14163 | მაინცი-ოსნაბრიუკი | 1.20 | 2.60 |
| 14182 | რიდი-შტურმი | 1.70 | 2.20 |
| 14183 | ლინცერი-ზალცბურგი | 1.80 | 2.00 |
| 14184 | ავსტრია კერნტენი-ავსტრია | 2.20 | 1.70 |
| 14186 | რაპიდი-მატერსბურგი | 1.70 | 2.20 |
| 14187 | ალტახი-ტიროლი | 1.70 | 2.20 |
| 14296 | ბრიუსელი-დენდერი | 1.65 | 2.30 |
| 14297 | გენკი-შარლერუა | 1.45 | 2.40 |
| 14298 | გენტი-მეხელენი | 1.30 | 2.50 |
| 14299 | ბეერსხოტი-ანდერლეხტი | 2.20 | 1.70 |
| 14300 | რუზელარე-მონსი | 1.70 | 2.20 |
| 14301 | სტანდარდი-ლოკერენი | 1.20 | 2.60 |
| 14303 | ვესტერლო-სტ.ტრუიდენი | 1.45 | 2.40 |
| 14304 | ვარეგემი-მუსკრონი | 1.85 | 1.95 |
| 14305 | ხერკლი-ბრიუგე | 2.00 | 1.80 |
| 14313 | ნაიმეგენი-ჰერაკლესი | 1.45 | 2.40 |
| 14314 | ტილბურგი-უტრეხტი | 1.95 | 1.85 |
| 14315 | ტვენტე-ბრედა | 1.30 | 2.50 |
| 14316 | გრააფსხაპი-ექსელსიორი | 1.45 | 2.40 |
| 14317 | ვენლო-სპარტა | 1.85 | 1.95 |
| 14318 | ფეიენოორდი-აიაქსი | 1.80 | 2.00 |
| 14319 | პსვ-ალკმაარი | 1.45 | 2.40 |
| 14321 | ვიტესი-ჰერენვენი | 1.85 | 1.95 |
| 14322 | როდა-გრონინგენი | 1.70 | 2.20 |
| 14323 | ვეენდამი-ტელსტარი | 1.20 | 2.60 |
| 14324 | ჰაარლემი-ვალვაიკი | 2.50 | 1.30 |
| 14325 | ვოლენდამი-ემენი | 1.30 | 2.50 |
| 14326 | ჰელმონდი-ომნივორლდი | 1.30 | 2.50 |
| 14327 | მაასტრიხტი-იგლზი | 1.75 | 2.10 |
| 14328 | ზვოლე-კამბური | 1.20 | 2.60 |
| 14329 | აპელდორნი-ოსი | 1.70 | 2.20 |
| 14330 | სიტარდი-დორდრეხტი | 2.00 | 1.80 |
| 14331 | როზენდაალი-ეინდჰოვენი | 1.30 | 2.50 |
| 14332 | დენ ბოსხი-დენ ჰააგი | 1.75 | 2.10 |
| 14333 | ბელენენსეში-ლეიშოეში | 1.45 | 2.40 |
| 14336 | ამადორა-პორტუ | 2.60 | 1.20 |
| 14338 | გიმარაეში-ფეირენსე | 1.30 | 2.50 |
| 14339 | ნასიონალი-მარიტიმუ | 1.85 | 1.95 |
| 14340 | ნავალი-ლეირია | 1.75 | 2.10 |
| 14341 | ბრაგა-სპორტინგი | 2.10 | 1.75 |
| 14343 | სეტუბალი-აკადემიკა | 1.45 | 2.40 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16145 | შალკე-ჰამბურგი | 1.58 | 2.10 |
| 16146 | ვერდერი-კარლსრუე | 1.11 | 5.70 |
| 16147 | დორტმუნდი-აინტრახტი | 1.30 | 3.00 |
| 16148 | ჰერტა-ჰანოვერი | 1.50 | 2.30 |
| 16149 | არმინია-ნიურნბერგი | 1.65 | 2.05 |
| 16150 | ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 1.65 | 2.05 |
| 16151 | ჰანზა-კოტბუსი | 1.45 | 2.45 |
| 16152 | დუისბურგი-ბოხუმი | 1.58 | 2.10 |
| 16153 | შტუტგარტი-ბაიერნი | 3.00 | 1.30 |
| 16155 | ალემანია-კაიზერსლაუტერნი | 1.23 | 3.60 |
| 16156 | ფიურტი-ფრაიბურგი | 1.70 | 1.95 |
| 16157 | მიუნხენი 1860-მიონხენგლადბახი | 1.80 | 1.85 |
| 16158 | კიოლნი-აუე | 1.12 | 4.60 |
| 16159 | კობლენცი-პადერბორნი | 1.25 | 3.40 |
| 16160 | კარლ ცაისი-ჰოფენჰაიმი | 2.40 | 1.45 |
| 16161 | ოფენბახი-ვეენი | 1.55 | 2.20 |
| 16162 | სტ.პაული-აუგსბურგი | 1.45 | 2.45 |
| 16163 | მაინცი-ოსნაბრიუკი | 1.11 | 5.70 |
| 16182 | რიდი-შტურმი | 1.40 | 2.55 |
| 16183 | ლინცერი-ზალცბურგი | 1.58 | 2.10 |
| 16184 | ავსტრია კერნტენი-ავსტრია | 2.30 | 1.45 |
| 16186 | რაპიდი-მატერსბურგი | 1.34 | 2.80 |
| 16187 | ალტახი-ტიროლი | 1.40 | 2.55 |
| 16296 | ბრიუსელი-დენდერი | 1.32 | 3.00 |
| 16297 | გენკი-შარლერუა | 1.25 | 3.40 |
| 16298 | გენტი-მეხელენი | 1.14 | 4.70 |
| 16299 | ბეერსხოტი-ანდერლეხტი | 2.45 | 1.40 |
| 16300 | რუზელარე-მონსი | 1.40 | 2.55 |
| 16301 | სტანდარდი-ლოკერენი | 1.10 | 5.50 |
| 16303 | ვესტერლო-სტ.ტრუიდენი | 1.23 | 3.60 |
| 16304 | ვარეგემი-მუსკრონი | 1.75 | 1.85 |
| 16305 | ხერკლი-ბრიუგე | 2.05 | 1.65 |
| 16313 | ნაიმეგენი-ჰერაკლესი | 1.23 | 3.60 |
| 16314 | ტილბურგი-უტრეხტი | 1.82 | 1.82 |
| 16315 | ტვენტე-ბრედა | 1.22 | 3.40 |
| 16316 | გრააფსხაპი-ექსელსიორი | 1.23 | 3.60 |
| 16317 | ვენლო-სპარტა | 1.70 | 1.95 |
| 16318 | ფეიენოორდი-აიაქსი | 1.62 | 2.05 |
| 16319 | პსვ-ალკმაარი | 1.24 | 3.60 |
| 16321 | ვიტესი-ჰერენვენი | 1.80 | 1.85 |
| 16322 | როდა-გრონინგენი | 1.34 | 2.80 |
| 16323 | ვეენდამი-ტელსტარი | 1.12 | 4.60 |
| 16324 | ჰაარლემი-ვალვაიკი | 3.60 | 1.23 |
| 16325 | ვოლენდამი-ემენი | 1.17 | 4.10 |
| 16326 | ჰელმონდი-ომნივორლდი | 1.17 | 4.10 |
| 16327 | მაასტრიხტი-იგლზი | 1.52 | 2.20 |
| 16328 | ზვოლე-კამბური | 1.12 | 4.60 |
| 16329 | აპელდორნი-ოსი | 1.40 | 2.55 |
| 16330 | სიტარდი-დორდრეხტი | 1.80 | 1.80 |
| 16331 | როზენდაალი-ეინდჰოვენი | 1.14 | 4.70 |
| 16332 | დენ ბოსხი-დენ ჰააგი | 1.45 | 2.45 |
| 16333 | ბელენენსეში-ლეიშოეში | 1.23 | 3.60 |
| 16336 | ამადორა-პორტუ | 5.50 | 1.12 |
| 16338 | გიმარაეში-ფეირენსე | 1.22 | 3.40 |
| 16339 | ნასიონალი-მარიტიმუ | 1.75 | 1.85 |
| 16340 | ნავალი-ლეირია | 1.45 | 2.45 |
| 16341 | ბრაგა-სპორტინგი | 2.30 | 1.48 |
| 16343 | სეტუბალი-აკადემიკა | 1.24 | 3.60 |



# ჯერ კოჭი, შემდეგ მუხლები

## ნიკა მეტრეველი ჯანზეა და სათამაშოდ ემზადება

**16 წლის ნიკა მეტრეველის საევროლიგო დებიუტს ტრავმამ შეუშალა ხელი. იტალიური „სიენას" ახალგაზრდა ქართველმა ფორვარდ-ცენტრმა კოჭის ტრავმა მიიღო, მერე მუხლებმაც უმუხთლა და ლამის ერთი თვე მკურნალობას მოანდომა. ამასობაში „სიენამ" სამი მატჩი გამართა ევროლიგაში, თუმცა, ცხადია, საამტურნირო განაცხადში მყოფი ქართველის გარეშე. ნიკა უკვე სრულიად ჯანმრთელია და დღეს ის მოედანს უბრუნდება — „სიენას" 19-წლამდელთა გუნდს თანაქალაქელი „ვირტუსის" დამარცხებაში დაეხმარება. გუშინ მეტრეველს იტალიაში შევეხმიანეთ და მასთან ლაპარაკი ჯანმრთელობის მდგომარეობით დავიწყეთ...**

— საკმაოდ ბევრი გამიცდა. 25 დღე გუნდთან არ მივარჯიშია და ეს ტრავმის შემდეგ პირველად გუშინ მოვახერხე. როგორც ექიმებმა მითხრეს, ფეხები მწყობრში მაქვს და ხვალ უკვე ვითამაშებ. საკითხავი ისაა, ფორმას თუ დროზე ავიდგენ, თორემ ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები აღარ მაქვს.

**— ტრავმა როგორ მიიღე?**

— იტალიის ახალგაზრდულ ჩემპიონატში 2 მატჩის თამაში მოვასწარი და მას მერე ტრავმის გამო მოედანზე აღარ გავსულვარ. რაკი 16 წლის ვარ, კადეტებშიც მიწევს თამაში და თავისთავად, 19-წლამდელებშიც. ამიტომ ორივე ტურნირში ვარ დაკავებული და ეს გამოცდილების მისაღებად ძალიან კარგია. პირველი ოფიციალური მატჩი 16-წლამდელებში ვითამაშე და 34 ქულასთან ერთად ოცამდე მოხსნა დავაგროვე. მეორე მატჩს 19-წლამდელებში ვთამაშობდი, როცა მესამე მეოთხედში კოჭი ამოვიბრუნე. იმ მომენტისთვის 13 ქულა მქონდა დაგროვილი და ისეთ ტალღაზე ვიყავი, საკმარისადაც გავამდიდრებდი ჩემს მონაგარს, მაგრამ ტრავმის შემდეგ მოედნის დატოვება მომიხდა.

**— 25 დღე მხოლოდ კოჭის მკურნალობას დასჭირდა?**

— არა, ტრავმიდან 12 დღეში ვარჯიშს შევუდექი და გავირბინე თუ არა, მუხლები ამტკივდა. კიდევ 12 დღე მათ მკურნალობას მოვანდომე და ახლა უკვე აღარაფერი მაწუხებს.

**— „სიენაში" თავიდან რომ ჩახვედი, ძირითად გუნდთანაც ვარჯიშობდი ხოლმე. ახლა?**

— როცა „სიენას" გასვლითი თამაში არ აქვს და შინ ვარჯიშობს, მეც ძირითად გუნდთან ვემზადები. თუ ქალაქში არ არიან, მაშინ ძირითადად 19-წლამდელთა გუნდში ვვარჯიშობ.

**— „სიენამ" ევროლიგის განაცხადშიც შეგიყვანა და რას ფიქრობ, მოგიწევს ამ ტურნირში თამაში?**

— ტრავმა რომ არ მქონოდა, დიდი შანსი იყო, ევროლიგაში მეთამაშა. მნიშვნელობა არა აქვს, რამდენ ხანს, მთავარი იყო, წუთით მაინც გავსულიყავი მოედანზე. „სიენამ" ორივე საშინაო მატჩი ძლიერად ჩაატარა, სლოვენიური „ოლიმპიაც" და ლიტვური „ჟალგირისიც" დიდი სხვაობით დაამარცხა. ჰოდა, ამ მატჩებში ალბათ მომეცემოდა შანსი, რადგან ბოლო მეოთხედს ორივე შემთხვევაში აზრი ჰქონდა დაკარგული — „სიენამ" იმხელა უპირატესობას მიაღწია, ათ წუთში მისი გაბათილება არარეალური იყო. თუმცა არა უშავს, ყველაფერი წინაა. ხვალიდან თამაშს ვიწყებ, ფორმაშიც მალე შევალ და ალბათ ძირითად გუნდშიც მომიწევს თამაში.

**— სერია A-ში დებიუტს თუ ელი ამ სეზონში?**

— არა, რადგან სერია A-ში უცხოელებზე ლიმიტია და „სიენას" ძირითად გუნდში ლეგიონერებს შორის დიდი კონკურენციაა. იქ ჩამოყალიბებული, უმაღლესი დონის კალათბურთელები თამაშობენ და მე მათთან პაექრობაზე ჯერ არც ვფიქრობ. ევროლიგაში კი უცხოელებზე ლიმიტი არ არსებობს და განაცხადშიც ამიტომ შემიყვანეს.

**ირაკლი ბერტაია**

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ქორები სპილოებსაც არ ეპუებიან

7 ნოემბერი

**ატლანტა 105:96 ფინიქსი**

**ატლანტა:** ლოუ (6), ჯონსონი (15 ქულა, 10 პასი), მ. უილიამსი (20 ქულა, 12 მოხსნა), სმიტი (22 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება, 4 ჩაჭრა, 4 პასი), ჰორფორდი (8 ქულა, 15 მოხსნა); ჩილდრესი (19 ქულა, 10 მოხსნა), სტუდემაიერი (10), ლუ (5), შ. უილიამსი, ვესტი

**ფინიქსი:** ნეში (34 ქულა, 11 პასი), ბელი (10), ჰილი (13), მერიონი (20 ქულა, 14 მოხსნა), დიაუ (7); ბარბოსა (12), მარქსი, ბანქსი, სკინერი

**იუტა 103:101 კლივლენდი**

**იუტა:** მილსაპი (24), ბუზერი (23 ქულა, 12 მოხსნა), ბრიუერი (16), უილიამსი (15 ქულა, 12 პასი)

**კლივლენდი:** ჯეიმსი (32 ქულა, 15 მოხსნა, 13 პასი), ილგაუსკასი (18 ქულა, 14 მოხსნა, 4 დაფარება), პავლოვიჩი (17)

**ბოსტონი 119:93 დენვერი**

**ბოსტონი:** პირსი (26), გარნეტი (23 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი, 4 ჩაჭრა), ალენი (22), რონდო (14)

**დენვერი:** აივერსონი (22), კემბი (17), მარტინი (12), ენტონი (11)

**ტორონტო 96:105 ორლანდო**

**ტორონტო:** ბოში (26 ქულა, 10 მოხსნა), ბარნანი (16)

**ორლანდო:** თურქოღლუ (24 ქულა, 15 მოხსნა), ლუისი (24), ბოგანსი (17 ქულა, 11 მოხსნა), ჰოვარდი (17)

**ინდიანა 89:104 კლიპერსი**

**ინდიანა:** გრეინჯერი (16), დანლივი (15), ონილი (13)

**კლიპერსი:** კასელი (35 ქულა, 8 პასი), მაგეტი (18), კამანი (15 ქულა, 22 მოხსნა), ტომასი (15)

**ფილადელფია 94:63 შარლოტი**

**ფილადელფია:** იგუდალა (19)

**შარლოტი:** კეროლი (16)

**სან ანტონიო 88:78 მაიამი**

**სან ანტონიო:** ჯინობილი (25 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი), პარკერი (23), ელსონი (12 ქულა, 14 მოხსნა), დანკანი (12)

**მაიამი:** ონილი (17), დევისი (14)

**სიეტლი 98:105 მემფისი**

**სიეტლი:** უილკოქსი (21), უილკინსი (18), დურანტი (17)

**მემფისი:** გაი (25 ქულა, 10 მოხსნა), მალესი (20), მილიჩიჩი (15 ქულა, 10 მოხსნა)

**პორტლენდი 93:90 ნიუ ორლეანი**

**პორტლენდი:** ჯეკი (20), ვებსტერი (20), როი (17)

**ნიუ ორლეანი:** ვესტი (34 ქულა, 18 მოხსნა), პოლი (18 ქულა, 12 პასი)

წლეულს „ატლანტა ჰოქსი" სრულიად განსხვავებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ახალდაწყებულ სეზონში ჯერ არავინ უწყის, „ქორები" მოახერხებენ თუ ვერა საკმარისი ოდენობით გამარჯვებების მოხვეჭას და 8-წლიანი უიღბლობის შემდეგ პლეი ოფში გასვლას, მაგრამ მათ უკვე დაიმსახურეს „ჯაიანთს ქილერზის", ანუ დიდების წამქცევის საპატიო მეტსახელი. ოთხ თამაშში „ატლანტამ" ორი მოიგო და ორჯერვე დასავლელი გოლიათები — ჯერ „დალასი", შემდეგ კი „ფინიქსი" დასცა.

„ქორების" თავდამსხმელი ჯოშ სმიტი უფრო ღრმად შეტოპვასაც არ ერიდება და ამბობს, წესით, ოთხივე უნდა მოგვეგოო — „ის ორი გასვლაც „ნიუ ჯერსისთან" და „დეტროიტთან" ჩვენვე დავთმეთ, ერთი 5, მეორე კი 1 ქულით. არა უშავს, ამასაც ვისწავლით, როგორ გამოვიყენოთ ყველა შანსი და მაშინ მართლა გვიფრთხილდეს ნებისმიერი მეტოქე."

მოკლედ, იზრდებიან „ქორები" და კლანჭები რომ მოუმაგრდათ, ამას ვინ ვინ და თვით სტივ ნეში, ასოციაციის ორგზის უძვირფასესიც აღიარებს — „დღეს ჩვენ აშკარად უფრო მოძრავ და ათლეტურ გუნდთან დავმარცხდით." ნეშის ეს სიტყვები ქათინაურზე მეტია. „ფინიქსის" ლიდერიც და ყველა სხვაც მთელი მონდომებით ცდილობდნენ, როგორმე ატლანტელი ფორვარდებისათვის ეჯობნათ, მაგრამ ამაოდ. მათ ისევ აკლდათ ცენტრი ამარე სტუდემაიერი და ატლანტელებმა ეს გადასარევადაც გამოიყენეს — მათ პირდაპირ გამოაძევეს სტუმართა მაღლები სამწამიანიდან და თავად გაბატონდნენ იქ. ისე, არც ის დაგვავიწყდეს, რომ „ატლანტასაც" აკლდა ლიდერთაგანი, ცენტრი ზაზა ფაჩულია.

მასპინძელი მეფარეების უპირატესობა განსაკუთრებით მეორე მეოთხედში გახდა თვალსაჩინო. ამ პერიოდში სტუმრებს ერთი ორქულიანიც კი არ ჩაუგდიათ, 11 ტყორცნიდან ყველა გაუცუდდათ და იძულებულები გახდნენ, სამქულიანებით და საჯარიმოებით გასულიყვნენ იოლას.

რაც შეეხება „მის უდიდებულესობა" სტივ ნეშს, ის მოედანზე შეუდარებელი იყო, სამქულიანებიც ჩაყარა (10-დან 7), ორქულიანებიც (9-დან 5), თანაგუნდელებსაც არ მოაკლო პასები და ეს საოცარი შეხვედრა 34 ქულით და 11 პასით დაასრულა, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ დაცვაში ყურადღებით მოთამაშე ატლანტელებმა მას 6-ჯერ დააკარგვინეს ბურთი. „ატლანტამ" ფარი 56:40 მოიგო, მასპინძელთაგან კი ერთბაშად ოთხმა მოხსნა 10 და მეტი ბურთი. მაგრამ მთავარი ის კი არაა, რომ „ქორებმა" მეტოქეს სუსტი წერტილი უპოვეს და ერთ გარკვეულ კომპონენტში დაჩაგრეს, არამედ ისაა ნიშანდობლივი, რომ მათ გადამწყვეტ ეპიზოდებში თითქმის ყველა საჭირო ბურთი ჩააგდეს. მეოთხე მეოთხედი, როდესაც გუნდები ერთმანეთს გოჯს არ უთმობდნენ და ქულა-ქულაში მიიბრძოდნენ, მასპინძლებმა 25:20 მოიგეს და სწორედ ბოლო მეოთხედების შემოტრიალებაში გაწაფულ გუნდს აჯობეს.

მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ „ატლანტა ჰოქსის" სახით აღმოსავლეთში ერთ-ერთი მებრძოლი გუნდი ყალიბდება. საინტერესო იქნება მისი სვლისთვის თვალყურის დევნება, მით უფრო, რომ მალე, დაახლოებით ერთ კვირაში მომჯობინდება და თავისიანებს შეუერთდება ნბა-ში შემორჩენილი ერთადერთი ქართველი ზაზა ფაჩულია.

**კოტე ყორშია**




ატლანტელმა თავდამსხმელმა ჯოშ სმიტმა მართლაც რომ ხელი გაშალა

# გადადებული ისევ გადაიდო

## საგანგებო მდგომარეობამ რაგბი არ იცის

**საქართველოს** პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულმა საგანგებო მდგომარეობამ, სპორტული განრიგიც შეცვალა. საქართველოსა და პორტუგალიას შორის შაბათს თბილისში გასამართი ევროპის ერთა თასის მატჩი, რომელიც ივნისში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ გადმოიტანეს, კიდევ ერთხელ გადაიდო. ამის თაობაზე საქართველოს რაგბის კავშირმა ცნობა გუშინ გაავრცელა.

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მერე, პორტუგალიელებს ჩვენს რაგბის კავშირში დაურეკავთ და უთხოვიათ, თამაში ერთხელაც გადავდოთო.

„ჩვენ ცარიელი ტრიბუნების წინ მოგვიწევდა თამაში, რადგან საგანგებო მდგომარეობის გამო ხალხის მასობრივი შეკრება აკრძალულია. ვინაიდან პორტუგალიელებმა თავად გვთხოვეს მატჩის გადადება, ჩვენც დავთანხმდით. აშკარად სჯობს, ვითარების სტაბილიზაციის შემდეგ ქომაგების თანდასწრებით ვითამაშოთ. საქმის კურსში ჩავაყენეთ რაგბის საერთაშორისო საბჭო და ევროპის რაგბის ფედერაცია. მათ თანხმობა განაცხადეს, უახლოეს დღეებში კი მატჩის გამართვის ახალ თარიღს დავადგენთ" — გვითხრა საქართველოს რაგბის კავშირის პრესცენტრის უფროსმა **გიორგი მამარდაშვილმა**.

ამის შემდეგ საქართველოს ნაკრების წევრ ბიძინა სამხარაძესაც შევეხმიანეთ, რომელმაც ეს გვითხრა: „შეგვატყობინეს, რომ მატჩი გადაიდო. წმინდა სპორტული თვალსაზრისით ცუდია, რომ შაბათს ვერ ვითამაშებთ. ჩვენ ყველანაირად მზად ვიყავით პორტუგალიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ახლა ყველანი ჩვენს კლუბებს დავუბრუნდებით და ახალი თარიღის გარკვევას დაველოდებით."

ჩვენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტსაც შევეხმიანეთ, რომლის პრესსამსახურის უფროსმა გიორგი ჭანიშვილმა დეპარტამენტის ოფიციალური პოზიციის თაობაზე გვითხრა: „სპორტის დეპარტამენტი და შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები მზად იყვნენ, ყველანაირად უზრუნველეყოთ პორტუგალიის ნაკრების უსაფრთხოება საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ თავად პორტუგალიელებმა, არსებული ვითარების გამო, თავი შეიკავეს თბილისში ჩამოსვლისგან და მატჩის გადადება ითხოვეს. ეს საქართველოს რაგბის კავშირის გადასაწყვეტი იყო და რაკი მათ შორის მოლაპარაკებაც დასრულდა, სპორტის დეპარტამენტიც ჩვენი და პორტუგალიის რაგბის კავშირების გადაწყვეტილებას ეთანხმება."

**ბაჩო სვანიძე**

## საქართველოს რაგბის კავშირის განცხადება

**რაგბის მსოფლიო საბჭო, ევროპული რაგბის ასოციაცია და პორტუგალიის რაგბის ფედერაცია, ითვალისწინებს რა საქართველოში შექმნილ ვითარებას და საქართველოს რაგბის კავშირის სურვილს, ქვეყანა უმოკლეს ვადაში დაუბრუნდეს კონსტიტუციურ ჩარჩოებს, აღდგეს სტაბილურობა და ცხოვრების ჩვეული რიტმი, გვთავაზობს, ევროპის ერთა თასის გათამაშების კალენდარული მატჩი ნაცვლად 2007 წლის 10 ნოემბრისა, გაიმართოს მოგვიანებით.**

**მატჩის ჩატარების თარიღს საქართველოს რაგბის კავშირი დამატებით გაცნობებთ.**



ჰუგო პორტა

# არგენტინა ევროპას მოადგა

**არგენტინამ** რომ სარაგბო სამყარო გადარია, უკვე ძველი ამბავია, მაგრამ „პუმები" ოვალურ სამყაროში გამეფებული კონსერვატიულობის გამო, არც ერთ ელიტარულ გათამაშებაში ჯერაც არ მიუღიათ.

„პუმები" დანებებას არ აპირებენ. არგენტინის რაგბის კავშირმა შეადგინა სტრატეგიული გეგმა, რომელსაც ირბ-ს ბოსებს ნოემბრის ბოლოს წარუდგენენ. საქმე ისაა, რომ „პუმები" მსოფლიო რეიტინგში მესამე ადგილზე აღზევდნენ და, რა თქმა უნდა, სიმწრით მოპოვებული სახელი არ ეთმობათ. აქედან ერთადერთი გამოსავალი ან ექვს ერზე რაგბობაა, ანაც სამი ერის პირველობაზე. სამხრეთამერიკელებს გული უფრო ევროპისკენ, ანუ ექვსი ერისკენ მიუწევთ და არგუმენტად იმას ასახელებენ, რომ ჩვენი მოთამაშეების უმრავლესობა ბებერ კონტინენტზე ბურთაობს და სწორედ ისინი გვირჩევენ, რომ არგენტინული რაგბის განვითარებას ევროპა უფრო წაადგებაო.

ჰოდა, „პუმების" ყოფილი მოთამაშე და ამჟამად არგენტინის სპორტის მინისტრი ჰუგო პორტა სტრატეგიული გეგმით ხელდამშვენებული ლონდონში ირბ-ის სხდომაზე თვის ბოლოს მიემგზავრება და როგორც ამბობენ, ირბ-ც ექვს ერში საფრანგეთის (ორჯერ), ირლანდიის და შოტლანდიის დამმარცხებელ ნაკრებს ადგილს აუცილებლად გამოუძებნის.

**ზურაბ მიგრიაული**



**მსოფლიოს** თასის შემდეგ ევროპულმა სარაგბო სამყარომ ოდნავ ამოისუნთქა და ბებერ კონტინენტზე ისევ გახურდა თავდაუზოგავი ჯახები. დღეს სარაგბო ჩემპიონთა ლიგა, ჰაინეკენის თასის გათამაშება დაიწყება, რომელშიც ევროპის ექვსი ერის კულბები ირაგბებენ. 7 ინგლისური, 6 ფრანგული, 4 ირლანდიური, 3 უელსური, 2 შოტლანდიური და 2 იტალიური გუნდი 9 ნოემბრიდან დაეცემიან ერთურთს. ეს ტურნირი ევროპაში ძალიან პრესტიჟულია და ჩვენი მკითხველისთვის ერთიორად საინტერესო იქნება, რადგან გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტის, ფრანგული „კლერმონის" რიგებში ორი ქართველი მორაგბე — გოდერძი შველიძე და დავით ზირაქიშვილი გაირჯება.

გუნდები ექვს ქვეჯგუფად არიან დაყოფილნი და შემდეგ ეტაპზე ჯგუფებში პირველ ადგილზე გასულები და ორიც საუკეთესო მეორეადგილოსანი გააგრძელებს თამაშს.

მსოფლიოს თასის დამთავრებისთანავე ბევრი სამხრეთნახევარსფეროელი ვარსკვლავი გადავიდა ევროპაში სათამაშოდ და ამით, რა თქმა უნდა, ჰაინეკენის თასიც და ეროვნული ჩემპიონატებიც უფრო საინტერესო გახდა.

რაგბის „ჩემპიონთა ლიგას" არც ადრე აკლდა ვარსკვლავმოთამაშეები, მაგრამ წლეულს ტურნირზე განსაკუთრებული სიკაშკაშეა. ჯონ სმიტი, დაგ ჰაულეტი, პერსი მონტგომერი, ბრაიან ოდრისკოლი, კოლინ შარვიზი, ხუან-მარტინ ერნანდესი, კრისტოფ დომინისი, იგნასიო კორლეტო, დავიდ სკრელა — ეს იმ ტოპმობურთალთა არასრული სიაა, რომელნიც თასის გათამაშებაზე მწვანე მინდორებს დათქერავენ.

# ორი ქართველი ვარსკვლავთკრებულში

## დღეს სარაგბო ჩემპიონთა ლიგა იწყება



გოდერძი შველიძე და დავით ზირაქიშვილი ევროელიტაში გაერივნენ

დღეს ირლანდიული „ოლსტერი" და ინგლისურ „გლოსტერი" დაეჯახებიან ერთმანეთს, ასევე ფრანგული „პერპინიანი" და უელსური „ნიუპორტი", ხოლო ხვალ-ზეგ პირველი ტურის სხვა მატჩებიც გაიმართება.

რამდენიმე სიტყვას ჩვენებურების „კლერმონზეც" გეტყვით. „კლერმონი" ძლიერი გუნდია და თასის ერთ-ერთ ფავორიტთაგანიც გახლავთ. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ შველიძის და ზირაქიშვილის მხარდამხარ მსოფლიოს თასის ტრიუმფატორი და სამხრეთ აფრიკის კაპიტანი ჯონ სმიტი იბურთავებს. სხვა მხრივ ჯგუფი ძალიან სერიოზულია. შარშანდელ თასის მფლობელ „ვოფსზე" რომ არაფერი ვთქვათ, დაგ ჰაულეტის „მუნსტერიც" არ გახლავთ ადვილი საკბილო და არც „სკარლეტზი" აპირებს დანებებას.

**ზურაბ მიგრიაული**

| I ჯგუფი |
|---|
| ლონდონ აირიში (ინგლისი) |
| პერპინიანი (საფრანგეთი) |
| ნიუპორტი (უელსი) |
| ტრევიზო (იტალია) |
| II ჯგუფი |
| ბურგუენი (საფრანგეთი) |
| გლოსტერი (ინგლისი) |
| ოსფრიზი (უელსი) |
| ალსტერი (ირლანდია) |
| III ჯგუფი |
| ბრისტოლი (ინგლისი) |
| კარდიფ ბლიუზი (უელსი) |
| ჰარლიქვინსი (ინგლისი) |
| სტად ფრანსი (საფრანგეთი) |
| IV ჯგუფი |
| ბიარიცი (საფრანგეთი) |
| გლაზგო (შოტლანდია) |
| სარასენზი (ინგლისი) |
| ვიადანა (იტალია) |
| V ჯგუფი |
| კლერმონი (საფრანგეთი) |
| სკარლეტზი (უელსი) |
| ვოფსი (ინგლისი) |
| მუნსტერი (ირლანდია) |
| VI ჯგუფი |
| ედინბურგი (შოტლანდია) |
| ლესტერ ტაიგერსი (ინგლისი) |
| ლენსტერი (ირლანდია) |
| ტულუზი (საფრაგეთი) |

**I ტურის კალენდარი**

9 ნოემბერი

ალსტერი — გლოსტერი
პერპინიანი — ნიუპორტი

10 ნოემბერი

ლენსტერი — ლესტერი
ბიადანა — ბიარიცი
სტად ფრანსე — ჰარლიქვინსი
ლონდონ აირიში — ტრევიზო
ედინბურგი — ტულუზი
ვოფსი — მუნსტერი
ოსფრიზი — ბურგუენი

11 ნოემბერი

კარდიფი — ბრისტოლი
სარასენზი — გლაზგო
კლერმონი — სკარლეტზი

ჩოგბურთი

## WTA TOUR-ის ჩემპიონატი

მადრიდი, ესპანეთი. ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 3 000 000 დოლარი

# შე სერენას

### წითელი ჯგუფი

ანა ივანოვიჩი (4, სერბეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (8, სლოვაკეთი) 6:2 7:6

| | თ | მ | წ | სტ |
|---|---|---|---|---|
| ანა ივანოვიჩი | 2 | 2 | 0 | 4:1 |
| მარია შარაპოვა | 1 | 1 | 0 | 2:0 |
| სვეტლანა კუზნეცოვა | 1 | 0 | 1 | 1:2 |
| დანიელა ჰანტუხოვა | 2 | 0 | 2 | 0:4 |

ანა ივანოვიჩი ნელ-ნელა იგებს მადრიდელი გულშემატკივრების გულს. სერბი ლამაზმანი თან იგებს და არც ლამაზად თამაში ავიწყდება.

ჯგუფის პირველ შეხვედრაში სვეტლანა კუზნეცოვას წაქცევის შემდეგ ბალკანელმა არც დანიელა ჰანტუხოვა დაინდო და სლოვაკს ძალიან იოლად გაუმკლავდა. ანამ თავიდანვე მშვენივრად დაიწყო და 5:0 დაწინაურდა. მართალია, აქ ჰანტუხოვამ ცოტა გაიფაფხურა, მაგრამ სერბმა სეტი სათავისოდ ადვილად დაამთავრა.

მეორე პარტიაში სლოვაკმა უფრო მედგრად იბრძოლა და იმდენი ქნა, რომ ტაიბრეიკამდეც მიჯახირდა. თუმც აქ ივანოვიჩმა ისევ უზადოდ იჩოგნავა და წლის შემაჯამებელ ტურნირზე თავის მეორე გამარჯვება მოიპოვა, რითაც ჯგუფიდან გასასვლელად დიდი ნაბიჯიც გადადგა.

ჰანტუხოვას კი ტყუილად არ მიიჩნევდნენ ტურნირის ყველაზე სუსტ ჩოგბურთელად — სლოვაკი აგერ მეორედ დამარცხდა უიმედოდ და საეჭვოა, თავის ბოლო შეხვედრაში მაინც გამორჩეს რამე კარგს.

### ყვითელი ჯგუფი

ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) — ელენა იანკოვიჩი (3, სერბეთი) 6:2 6:2
ანა ჩაკვეტაძე (5, რუსეთი) — სერენა უილიამსი (7, აშშ) 6:4 (უარი)

| | თ | მ | წ | სტ |
|---|---|---|---|---|
| ჟუსტინ ენინი | 2 | 2 | 0 | 4:0 |
| ანა ჩაკვეტაძე | 2 | 1 | 1 | 1:2 |
| ელენა იანკოვიჩი | 1 | 0 | 1 | 0:2 |
| სერენა უილიამსი | 1 | 0 | 1 | 0:1 |
| მარიონ ბარტოლი | 0 | 0 | 0 | |

ეს ჯგუფი კი მდიდარი იყო მოვლენებით — ჯერ ერთი, ნახევარფინალის საგზური გაინაღდა ტურნირის მოქმედმა ჩემპიონმა და მეორეც, მადრიდს სერენა უილიამსი დაემშვიდობა.

თუმც ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ და უილიამსის ამბით დავიწყოთ — სერენასთვის ტურნირი კორტზე მისი პირველი გამოჩენისთანავე დასრულდა. უმცროსმა შავდამ ანა ჩაკვეტაძესთან მატჩში მუხლის ტრავმა გაიმიზეზა, რის გამო ვერც რუსთან შეხვედრა ჩაამთავრა და საერთოდ მადრიდში თამაშზეც უარი განაცხადა. შეგახსენებთ, რომ ამ ტრავმის გამო სერენას თითქმის მთლიანად გაუცდა 2006 წლის სეზონი და აგერ ახლა ისევ შეახსენა თავი.

არადა, აქამდე სერენას სამჯერ ეთამაშა წლის შემაჯამებელ ტურნირზე და სამჯერვე მინიმუმ ფინალში გასულიყო.

„ძალიან იმედგაცრუებული ვარ. ამ ტურნირისთვის გამალებით ვემზადებოდი და ევროპაშიც ერთი თვით ადრე ჩამოვედი, რომ ადაპტაცია გამევლო. ჰოდა, ყველაფერი წყალში გადამეყარა“ — მოწყენილი იყო ნამატჩევს სერენა.

ამერიკელის ადგილს ახლა მარიონ ბარტოლი დაიკავებს — მართალია, სერენას წაგება მას პასივში არ წაუვა, მაგრამ, სამაგიეროდ, მხოლოდ ორი მატჩი უნდა გამართოს, რაც ფრანგის ჯგუფიდან გასვლის შანსებს მნიშვნელოვნად ამცირებს.



სერენა უილიამსი მრავალტანჯულმა მუხლებმა დაალალატა

სამაგიეროდ, ჯგუფიდან გასვლის პრობლემა გადაჭრა ჟუსტინ ენინმა, რომელმაც ელენა იანკოვიჩი კიდევ ერთხელ დაამცირა. მართლაც, სერბისთვის, რომელთან თამაშიც დღესდღეობით ყველას უჭირს, ჭინკა ბელგიელთან ნებისმიერი დაპირსპირება გვემად იქცევა ხოლმე — უკვე მეცხრედ შეხვდნენ ერთმანეთს და ელენა მეცხრედ დამარცხდა. ჟუსტინმა განსაკუთრებით მაინც წლეულს დაჩაგრა იანკოვიჩი, რადგანაც უკვე მეშვიდედ გააკრა ბეჭებზე, ამჯერად კი საამისოდ სულ რაღაც საათი და ათი წუთი იმყოფინა.

„პირველ შეხვედრასთან შედარებით, უკეთ ვითამაშე. თან იანკოვიჩს არ გაუმართლა, რადგან აქ თავის პირველ მატჩს მართავდა, მაშინ როცა მე აქაურ კორტს უკვე შეჩვეული ვიყავი“ — კორექტული იყო ნამატჩევს ენინი, რომელმაც ზედიზედ 22-ე შეხვედრაში იმარჯვა.

**ბაჩა ლომჯარიძე**

# მინსკი ქართველებისგან დაიცალა

**გუშინ** მინსკში ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50-ათასიან ტურნირზე მოთამაშე ბოლო, მესამე ქართველიც დამარცხდა. სოფო შაფათავა და ოქსანა კალაშნიკოვა ბელარუსულ მაგარსაფარზე ძირითადი შეჯიბრის პირველივე წრეში დამარცხდნენ და გუშინ მათი ბედი მეორე წრეში გასულმა თინა ყავლაშვილმაც გაიზიარა, ვისაც 6:1 6:2 სძლია მე-5 ნომრად განთესილმა რუსმა ეკატერინა ბიჩკოვამ.

ძიუდო

# ფირცხელიანმა მეშვიდე თქვა
## ევროპას ოქროს ბიჭები ნახავენ

**„23-წლამდელ** ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე ნაკრების სახელით ისინი იჭიდავებენ, ვინც ერთი კვირის წინ ამ ასაკში საქართველოს ჩემპიონები გახდნენ“ — გვითხრა გუშინ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ბორია ფირცხელიანმა**. 24-26 ნოემბერს ზალცბურგის ტატამზე გამსვლელი შვიდეული რომ სწორედ ვერის ბაღში ჩატარებულ პირველობაზე უნდა გარკვეულიყო, ადრევე გაცხადდა, მაგრამ დაზუსტებული პასუხი მაშინ ფირცხელიანისგან მაინც ვერ მივიღეთ. უფრო ზუსტად, გაურკვეველი ერთადერთი — 81 კილოგრამი წონითი კატეგორიაა იყო.

ფინალში დავით ჭაბუკაშვილმა საბა გავაშელიშვილს სძლია და ავსტრიის საგზურიც გაინაღდა, მაგრამ იმ შეხვედრის შედეგს დიდი დავაკამათი მოჰყვა და მწვრთნელმა თქვა, საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ მას შემდეგ მივიღებ, რაც ვიდეოჩანაწერს ენახავო. გუშინ კი ფირცხელიანმა აი, რა განაცხადა:

„ვიდეოფირი შოთა ხაბარელთან ერთად გავარჩიე. გამოჩნდა, რომ გავაშელიშვილი მართლაც მსაჯის შეცდომების გამო დაიჩაგრა, მაგრამ ამის მიუხედავად, 81 კილოგრამშიც, სხვა წონების მსგავსად, ჩემპიონი დაიცავს ნაკრების ღირსებას. სხვათა შორის, ეს თავად გავაშელიშვილის თანხმობით მოხდა. იგი ძირითადი ნაკრების კანდიდატია და ოლიმპიური ლიცენზიისთვის ბრძოლას აპირებს. ამისთვის პირველ რიგში დეკემბერში ჩასატარებელ საქართველოს ჩემპიონატში წარმატების მიღწევა სჭირდება. ამ ტურნირსა და ზალცბურგულ ევროპირველობას შორის კი ძალიან მცირე შუალედია და წონის ორჯერ დაკლება ხეირს არ მოუტანდა“.

ავსტრიაში გამგზავრებამდე ნაკრები ათდღიან შეკრებას გაივლის გორში. სავარაუდოდ, მასში საქართველოს ჩემპიონატის ყველა ჩემპიონ-პრიზიორი მიიღებს მონაწილეობას.

### საქართველოს ნაკრები

60 კგ — ამირან პაპინაშვილი
66 კგ — დავით ასუმბანი
73 კგ — დავით კუპრაშვილი
81 კგ — დავით ჭაბუკაშვილი
90 კგ — ვალერი ლიპარტელიანი
100 კგ — შავლეგ ბერუაშვილი
+100 კგ — ადამ ოქრუაშვილი

ხელბურთი

# ჭანტურიას გუნდმა დერბი მოიგო

**საქართველოს** ნაკრების ხელბურთელმა რევაზ ჭანტურიამ მორიგი გამორჩეული თამაში ჩაატარა. მისმა „მეტალურგმა“ მაკედონიის ჩემპიონატის მეორე წრის შეხვედრაში თანაქალაქელ „ვარდარს“ კინკილა ქულით 29:28 მოუგო. ეს გუნდები მაკედონიაში ყველაზე წონიანები არიან და ძირითადად მათ შორის საუკეთესო ხდება ხოლმე ქვეყნის ჩემპიონი. შარშან პირველობა „ვარდარს“ დარჩა, ამიტომაც არის რეზოს გუნდი წლეულს გაორმაგებული ჟინით რომ ეთამაშება მთავარ მეტოქეს. პირველ წრეში მასპინძელმა „მეტალურგმა“ გამარჯვება ბოლო წამებზე გაატანა ქარს. მაშინ ისინი თამაშის დამთავრებამდე 20 წამით ადრე 30-29 იგებდნენ, თუმც უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს...

აღსანიშნავია, რომ 30-ე ბურთი ქართველის აქტივში ჩაიწერა. სანაკრებო თამაშებზე ჩამოსულმა ჭანტურიამ დანანებით გვითხრა კიდეც, მოსაგები ბურთი გავიტანე, მაგრამ მაინც ვერ ვიხეირეთო...

რაც შეეხება ამ შეხვედრას — „მეტალურგმა“ ძალიან მაგრად ითამაშა და უმნიშვნელოვანეს დერბიში გასვლითი ჯახი მოიგო. რეზომ მთელი მატჩი შეუცვლელად ითამაშა და საკმაოდ აქტიურიც იყო. 5-ჯერ მისი ნასროლი ბურთი „ვარდარის“ ბადეში აფართხალდა, აქედან 2-ჯერ ბოლო გადამწყვეტ წუთებზე. გარდა ამისა 2 შვიდმეტრიანი საჯარიმო მისი უხეშად შეჩერებისთვის დაინიშნა. „მეტალურგი“ ევროთასებზეც კარგად გამოდის, პირველი წრის გავლის მერე შვედურ „სავეჰოფთან“ მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასის გათამაშების შეხვედრები 18 და 25 ნოემბერს შედგება. „მეტალურგს“ თავიდან მასპინძლობა ერგო. როგორც ჩანს, ჩვენებური ნელ-ნელა ფორმაში შედის და იმედი ვიქონიოთ, რომ არც შვედურ გუნდთან დარჩება ხელცარიელი.

**ლევან მაისურაძე**

ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

# ამერიკა მოდანოსია




**„დალასის“** ცოცხალი ლეგენდა მაიკ მოდანო გუშინ ნჰლ-ის ისტორიაში ყველაზე შედეგიან ამერიკელ ჰოკეისტად იქცა. „სან ხოსესთან“ შეხვედრაში მოდანომ ორი შაიბა მიითვალა, რითაც ჯერ დაეწია და მერე გადაასწრო კიდეც ფილ ჰაუსლის მაჩვენებელს — 1232 ქულას.

1233 (511+722) მოდანომ ნჰლ-ში გაამრთულ 1253 მატჩში შეძლო — ჰაუსლის საამისოდ 242 შეხვედრით მეტი დასჭირდა.

„რაც უფრო დიდხანს ვერ ვახერხებდი ამ რეკორდის გამეორებას, მით უფრო ვნერვიულობდი. ამიტომ ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი ასე ლამაზად გამომივიდა. ვფიქრობ, გარკვეული დრო დამჭირდება, ეს ყველაფერი ბოლომდე რომ გავიაზრო“ — ყურებამდე იღიმებოდა ნამატჩევს მოდანო.

**ბაჩა ლომჯარიძე**

### 7 ნოემბერი

**პიტსბურგი 1:3 ფილადელფია**
*1:2 0:1 0:0*
0:1 ლუპული (1), 0:2 კარტერი (6), 1:2 მელოუნი (20), 1:3 რიჩარდსი (29)

**ბუფალო 2:1 ბოსტონი**
*0:1 1:0 0:0 1:0 (ოვერტაიმში)*
0:1 სავარი (9), 1:1 კოტალიკი (36), 2:1 მაკარტური (64)

**ტამპა 3:1 ფლორიდა**
*2:0 0:1 1:0*
1:0 პლავაჩი (2), 2:0 სენ ლუი (7), 2:1 კრეპსი (29), 3:1 ლეკავალიე (60)

**დეტროიტი 3:2 ნეშვილი**
*1:0 1:0 0:2 0:0 (1:0 ბულიტებით)*
1:0 კლირი (9), 2:0 ჰუდლერი (39), 2:1 სუტერი (53), 2:2 დიუმონი (59)

**ჩიკაგო 5:2 კოლუმბუსი**
*0:0 1:0 4:2*
1:0 ვიშნევსკი (29), 1:1 კლესლა (42), 1:2 ფედერი (43), 2:2 ტეივსი (48), 3:2 სიბრუკი (50), 4:2 კოტი (52), 5:2 შარპი (60)

**კოლორადო 4:3 ედმონტონი**
*2:3 0:0 1:0 0:0 (1:0 ბულიტებით)*
1:0 ლაპერიერი (4), 1:1 ბროდზიაკი (8), 2:1 არნასონი (12), 2:2 ტერნსტრომი (13), 2:3 პემსკი (14), 3:3 ლაპერიერი (43)

**ანაჰაიმი 5:6 ფინიქსი**
*1:1 2:3 2:1 0:1 (ოვერტაიმში)*
0:1 მიულერი (9), 1:1 კუნიცი (11), 2:1 მარჩანტი (25), 2:2 მიულერი (29), 2:3 რაინპრეხტი (36), 2:4 ვრბატა (38), 3:4 შნაიდერი (39), 4:4 მილერი (42), 4:5 მიულერი (45), 5:5 პერი (46), 5:6 დოუნი (65)

**სან ხოსე 1:3 დალასი**
*1:2 0:1 0:0*
0:1 მოდანო (3), 0:2 მოდანო (5), 1:2 კარლი (19), 1:3 ოტი (23)

## ექსტრემალური სპორტი





# ცხენია, ქალი თუ ალქაჯი

## ელიზაბეტ ჰოუკერი სირბილის შემდეგ სირბილით ისვენებს

**როგორ** ფიქრობთ, ექსტრემალურ პირობებში, როცა ადამიანს ხანგრძლივად უხდება თავისი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გამოცდა, ვინ გაიმარჯვებს — ქალი თუ კაცი? ამ კითხვით დაინტერესებულთ სპეციალისტები უყოყმანოდ გიპასუხებენ, ქალიო.

მართლაც, ქალი უკეთ უძლებს ყინვასა თუ ჰაჰანაქება სიცხეში ძალთა ქანცგამწყვეტ გამოცდას, რასაც ახალგაზრდა ინგლისელი ქალბატონი ელიზაბეტ ჰოუკერი თავისი უნიკალური მიღწევებით ადასტურებს, მისი ბოლო საგმირო საქმე კი მართლაც, საარაკოა.

თუმც მანამ ამ მიღწევაზე გიამბობდეთ, თავად ლიზი ჰოუკერს წარმოგიდგენთ, ვინც ზემარათონულ რბენაში მსოფლიოს ახალი სახეა, მაგრამ იგი უბრალოდ მორბენალი კი არა, უჩვეულო პირობებში მორბენალია. ამასთან, გატაცებულია მთამსვლელობით და თხილამურებით, სადაც ასევე ვაჟებს ეპაექრება და იქაც უნიკალურ მიღწევებს ფლობს. თანაც, სპეციალობით ეს ოკეანოგრაფი სამეცნიერო მუშაობასაც ასწრებს. ამ მიზნით, ხან ანტარქტიდაშია, ხანაც სამხრეთის ოკეანეებში, შუალედებში კი საკუთარ თავს ექსტრემალურ პირობებში არაადამიანურ გამოცდას უწყობს. ასეთ გამოცდას ალბათ ვერც წმინდასისხლიანი ინგლისური ბედაური გაუძლებდა, ვერც სახელგანთქმული არაბული მერანი და ვერც ეს ჩვენი თუშური ცხენი, რომელიც სწორედაც რომ საცალფეხო მთიან ბილიკებზე ქანცგაწყვეტისთვისაა დაბადებული.

აბა, რომელი ცხენი გაუძლებს, მაგალითად, ნეპალში, დედამიწის სახურავ ევერესტის მისადგომებთან 5600 მეტრის სიმაღლეზე მდებარე საბაზო ბანაკიდან 3000 მეტრზე ზემოთ ატყორცნილ სოფელ ლუკლამდე რბენას, რამდენიმე დღის მერე იქვე ალმართულ ლამის შვიდიათასიან მწვერვალ ამადაბლამზე (6848 მ.) ასვლას, ერთკვირიანი პატარ-პატარა გარბენების მერე კი, ისევ იმ საბაზო ბანაკიდან ნეპალის დედაქალაქამდე 302 კილომეტრის გარბენას. და ეს ყველაფერი ელიზაბეტ ჰოუკერმა სულ რაღაც ერთი თვის განმავლობაში მოახერხა, თანაც მსოფლიოს რეკორდით...

აქ უპრიანი იქნება ერთი პატარა ისტორიული ექსკურსი.

1981 წელს ნეპალის მაღალმთიან სოფელ ლუკლადან ევერესტის საბაზო ბანაკამდე ასვლა ადგილობრივმა შერპმა მეგზურებმა ოთხდღიანი ლაშქრობით დაგვიგეგმეს. იმ ლაშქრობისას ყველას პირზე ეკერა ბულგარელი მთამსვლელის ხრისტო პროდანოვის მიერ იმავე მარშრუტის ერთ დღეში გავლა, რაც ფანტასტიკურ მიღწევად მიაჩნდათ. ამ ათი წლის წინათ ამ მარშრუტზე ზემარათონულ გარბენებს ჩაეყარა საფუძველი. მასში ძალას ცდიან მთამსვლელთა შორის გამორჩეული მორბენლები და მორბენალთა შორის გამორჩეული ალპინისტები. ჰოდა, ამ შემოდგომაზე ელიზაბეტ ჰოუკერმა სწორედ ამ გარბენში გაიმარჯვა, სამი კვირის მერე ამადაბლამზე კლასიკური მარშრუტით რომ აისვირნ-ჩამოისვირნა, მერე ევერესტის ძირიდან კატმანდუმდე რბენაში ნეპალელი შერპი კაცის, კუმარ ლიმბუს მიერ 2000 წელს დამყარებულ მსოფლიოს რეკორდს (3 დღე-ღამე, 7 საათი და 10 წუთი) შეუტია. შეუტია და... მთელი 7 საათით გააუმჯობესა (3 დღე-ღამე, 2 საათი და 10 წუთი).

ამ გარბენისას ჰოუკერმა საერთოჯამში 10 000-მეტრიანი აღმართი და 14 000-მეტრიანი დაღმართი დაძლია, დანარჩენი გზა კი შედარებით ვაკეზე გადიოდა.

ელიზაბეტ ჰოუკერის ვარსკვლავი პირველად 2003 წელს ამობრწყინდა. მაშინ იგი ჰიმალაის მწვერვალ კალანგზე (6387 მ.) ძეხორციელთაგან პირველი ავიდა თხილამურებით და იქიდანაც მშვიდობით დაეშვა. მომდევნო წლებში მან კიდევ რამდენიმე უჩვეულო სამთო-სათხილამურო ლაშქრობა მოაწყო, 2005 წელს 100-კილომეტრიან რბენაში ინგლისის ჩემპიონი გახდა, 2006 წელს ეს ტიტული დაიცვა, შარშან კი იმავე მანძილზე მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინიც დაიდგა.

2006 წელი ელიზაბეტ ჰოუკერისთვის იმითაც იყო გამორჩეული, რომ მან ზერმატის 78-კილომეტრიან მარათონში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, ასევე მსოფლიოს რეკორდი დაამყარა ქალთა 50-კილომეტრიან საგზატკეცილო მარათონშიც, მაგრამ უფრო მეტად დასავლეთ ევროპის უმაღლეს მწვერვალ მონბლანის ირგვლივ ქალთა შორის რბენაში გამარჯვებამ და მსოფლიოს რეკორდმა გაახარა, ვაჟებში კი მეხუთე იყო. ეს და სხვა ფანტასტიკური მიღწევები კი ჰოუკერმა თავისი ბოლო რეკორდით დაჩრდილა.

ამ მიღწევების გამო ახლა ყველას აინტერესებს ჰოუკერის საიდუმლო, რასაც მის საკვებშიც ეძებენ. ამ ქალბატონს კი თურმე ყველაფერს ურჩევნია შინ გამომცხვარი პური, კარგი ყველი და ერთი ჭიქა ღვინო. რაც შეეხება დასვენებას, ამის უებრო საშუალებად... სირბილს, მთამსვლელობასა და წიგნის კითხვას მიიჩნევს.

**ავთანდილ ტყვიშელი**

## სნუკერი

# რონი ბეწვის ხიდზე

**ბელფასტში,** სადაც სნუკერისტთა 2007-08 წლების სეზონის მესამე სარეიტინგო ტურნირი, „ჩრდილოეთ ირლანდიის თასი" მიმდინარეობს, მეორე წრე დასრულდა და ყველა მერვედფინალისტის ვინაობა გაირკვა.

წყვილად დამარცხდნენ მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონი, შოტლანდიელი ჯონ ჰიგინსი და ჰიგინსის მიერ მსოფლიო პირველობის ფინალში ძლეული ინგლისელი მარკ სელბი. ჰიგინსს დაძაბულ ბრძოლაში 5:4 სძლია ირლანდიელმა ფერგელ ობრაიენმა. ხოლო სელბიმ ამავე ანგარიშით თავის თანამემამულე ბარი ჰოუკინსთან წააგო.

ბეწვის ხიდზე გაიარა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა რონი ოსალივანმა. სნუკერის ჯადოქარი მეორე ინგლისელთან, ტომ ფორდთან 2:4 აგებდა, თუმც ბოლოს რონიმ ჩვეულ დიდოსტატურ სტილში მიყოლებით სამი ფრეიმი მოიგო და მერვედფინალში კიდევ ერთ თანამემამულეზე, ალისტერ კარტერზე გავიდა.

იმარჯვეს თანამედროვე სნუკერის ყველაზე ტიტულოვანმა მოთამაშემ სტივ ჰენდრიმ და მსოფლიოს კიდევ ერთმა ექსჩემპიონმა შონ მერფიმ. შოტლანდიელმა ჰენდრიმ 5:3 მოუგო ინგლისელ მარტინ გაულდს, ხოლო მერფიმ 5:2 დაჯაბნა მეორე ინგლისელი ენტონი ჰემილტონი.

მოულოდნელი იყო უელსელი მსოფლიოს ექსჩემპიონის მარკ უილიამსის მარცხი (3:5) ირლანდიელ ჯერალდ გრინთან. სხვა ორი უელსელის — რაიან დეისა და დომინიკ დეილის შეხვედრაში კი დეიმ 5:1 იმარჯვა და ამით რევანში აიღო სეზონის პირველი სარეიტინგო ტურნირის, „შანხაის მასტერსის" ფინალში წაგების გამო.

მერვედფინალისტები სატურნირო ბადის ზევიდან ქვევით მიყოლებით, ასე დაწყვილდნენ: დინ ჯუნხუ (ჩინეთი) — სტივ მაგუაერი (შოტლანდია), აიენ მაკალოპი (ინგლისი) — ნილ რობერტსონი (ავსტრალია), პიტერ ებდონი (ინგლისი) — სტივ დევისი (ინგლისი), სტივ ჰენდრი (შოტლანდია) — შონ მერფი (ინგლისი), მარკ ალენი (ჩრდილოეთ ირლანდია) — რაიან დეი (უელსი), ჯერარდ გრინი (ირლანდია) — კენ დოჰერტი (ირლანდია), რონი ოსალივანი (ინგლისი) — ალისტერ კარტერი (ინგლისი), ბარი ჰოუკინსი (ინგლისი) — ფერგელ ობრაიენი (ირლანდია).

**რონი ოსალივანი**



## ავტორბოლა

# უილიამსმა ნაკაჯიმა დაამტკიცა ალონსოს რენო ჯერ სათუოა

**ცნობილი** გახდა სერ ფრენკ უილიამსის საპირველფორმულო გუნდის მეორე მრბოლის ვინაობა. გაისად „უილიამს-ტოიოტას" ბოლიდით 22 წლის გერმანელ ნიკო როსბერგთან ერთად, მისი კბილა იაპონელი კაზუკი ნაკაჯიმა ირბოლებს.

მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონ კეკე როსბერგის ვაჟისთვის ეს უკვე მესამე ჩემპიონატი იქნება, კაზუკიმ კი მხოლოდ ერთხელ გაიჯირითა — წლევანდელი სეზონის დასკვნით რბოლაში, ბრაზილიის გრან პრიზე, სადაც პენსიაზე გასული 33 წლის ალექსანდრ ვურცი შეცვალა. ამომავალი მზის ქვეყნელი სერ ფრენკის საჯინიბოში სწორედ ავსტრიელი ვეტერანის ადგილს დაიკავებს.

ნაკაჯიმა წლეულს უილიამსელთა მეტესტედაც მუშაობდა და „მომავლის ფორმულის" — გრან პრი ორის სერიაშიც გამოდიოდა, გენერალურ კლასიფიკაციაში მეხუთე იყო და სეზონის აღმოჩენადაც დაასახელეს.

დღეს გაირკვევა, დაუბრუნდება თუ არა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფერნანდო ალონსო „რენოს". 26 წლის ესპანელ სუპერპილოტს „მაკლარენ-მერსედესში" სკანდალური სადებიუტო სეზონის შემდეგ ვადამდე მოუხდა გუნდის დატოვება.

რენოელთა ბოსი ფლავიო ბრიატორე კარგა ხანია აცხადებს თავისი „ოქროს ბიჭის" დაბრუნების სურვილს. პრობლემა კონტრაქტის ხანგრძლივობაა — ნანდოს „მაკლარენში" მწარე გამოცდილების გამო არ სურს გრძელვადიანი ხელშეკრულებით შეიზღუდოს და მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტზეა თანახმა, ფლავიო კი ორ-სამ სეზონიანს სთავაზობს. ალონსოს „რენოში" მეორედ მისვლისთვის სპონსორებს 90 მილიონი დოლარი გაუღიათ.

**გია ახალაძე**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუკრი ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლაშა ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00